საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016 20

2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია

2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

© ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

აბრევიატურა

CIB	ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
EFQM	ხარისხის მენეჯმენტის ევროპული ფონდი - „წარმატების მოდელი“
FDI-SMEs linkages	უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
IFRS for SME	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
LLEL	უწყვეტი სამეწარმეო სწავლება
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
Responsible Business Conduct (RBC)	ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევა
Regulatory Impact Assessment (RIA)	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
R&D	კვლევა და განვითარება
Training Needs Assessment (TNA)	ტრენინგების საჭიროებათა შეფასება
TTPP	ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტი
TBT	ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
USAID-PROLoG	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარების პროგრამა

სარჩევი

აბრევიატურა 3

მოკლე მიმოხილვა 7

შესავალი 12

პირველი სტრატეგიული მიმართულება: სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება 16

1.1. ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება 16

1.2. მედიაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა 16

1.3. ბიზნესისთვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესება 17

1.4. საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება 18

1.5. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება 18

1.6. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება 22

1.7. პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების RIA-ს სისტემის შექმნა 24

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები 25

პირველი სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად 26

მეორე სტრატეგიული მიმართულება: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 30

2.1. ფინანსური განათლების გაუმჯობესება 30

2.2. მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვაში 31

2.3. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების მოზიდვის (fund raising) საკითხებში 32

2.4. მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესის (startup) დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა 32

2.5. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის 33

2.6. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის წამოწყების ან განვითარების თანადაფინანსების (სუბსიდირების) გზით 35

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები 35

მეორე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად 36

მესამე სტრატეგიული მიმართულება: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა 39

3.1. შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება ... 39

3.2. მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment TNA) ... 41

3.3. უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე ... 42

3.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება ... 45

3.5. არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა ... 47

3.6. მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა ... 48

3.7. საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ვებ-გვერდზე ... 50

3.8. მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება ... 50

3.9. ქალთა მეწარმეობის წახალისება ... 51

3.10. მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის" წახალისება ... 53

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები ... 54

მესამე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად ... 55

მეოთხე სტრატეგიული მიმართულება: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია ... 59

4.1. DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება ... 59

4.2. მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში ... 63

4.3. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება ... 64

4.4. მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში ... 67

4.5. ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (Responsible Business Conduct RBC) პოპულარიზაცია ... 69

4.6. უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა (FDI-SMEs linkages) ... 70

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები ... 71

მეოთხე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად ... 72

მეხუთე სტრატეგიული მიმართულება: ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა ... 74

5.1. მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება ... 74

5.2. ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება ... 74

5.3. ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა ... 75

5.4. მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება ... 75

5.5. ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (ტექნოპარკები, ინოვაციების ცენტრები, FabLab-ები; iLab-ები) 76

5.6. მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარების ხელშეწყობა 77

5.7. ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის რეგიონების სათემო ინტერნეტ ქსელის პროექტის განხორციელება 78

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები 79

მეხუთე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად 79

სამოქმედო გეგმით 2019 წლისთვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულება 80

მოკლე მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით. სტრატეგიის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

2020 წლისთვის სტრატეგიით განისაზღვრა სამიზნე მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების წლიურ 10%-იან ზრდას, ასევე საბაზისო წელთან (2013 წ.) მიმართებით დასაქმებულთა 15%-იან და მწარმოებლურობის 7%-იან ზრდას.

2016-2020 წლების სტრატეგია მოიცავს 5 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, როგორიცაა საკანონმდებლო, ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება; ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებები, თავის მხრივ, მოიცავს პოლიტიკის შესაბამის პრიორიტეტულ ღონისძიებებს და ქმედებებს.

შესაბამისად, 2019 წელს სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, ზემოაღნიშნული 5 სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში, ითვალისწინებს 36 პრიორიტეტული ღონისძიების და 118 ქმედების განხორციელებას.

პირველი სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში შემუშავდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელზეც ჩატარდა საჯარო-კერძო განხილვები და წარედგინა მთავრობას; დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი; ბიზნესისათვის საჭირო სახელმწიფო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით დამუშავდა ერთიანი ფრონტ ოფისის კონცეფცია, მათი გამარტივების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის სერვისების აღწერა-ანალიზი-ინტეგრაცია და ვებ-პორტალზე აწყობა. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი

ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით განხორციელდა შესაბამისი ინსტიტუტების თანამშრომელთა დატრენინგება, მათ შორის სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და საქართველოს ტექნოპარკების და ინოვაციების ცენტრების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენერების ტრენინგები. მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით შედგა შეხვედრები - სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების“ სააგენტოს და „სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ წარმომადგენელთა მონაწილეობით. სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში არსებული გამოწვევებისა და კერძო სექტორის საჭიროებების იდენტიფიცირების და შესაბამისად, მეწარმეთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზების მიზნით. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრები მცირე და საშუალო ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, ყოველ კვარტალურად გაიმართა „კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს“ შეხვედრები. ასევე, ჩატარდა ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრები. „უკეთესი რეგულირების“ სისტემის დანერგვის მიზნით შემუშავდა და მიღებულ იქნა რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მექანიზმი.

პირველი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

მეორე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში ჩატარდა მეწარმეთათვის ტრენინგები, მათ შორის ფინანსური განათლების გაუმჯობესების მიზნით. აგრო მეწარმეებისთვის შემუშავდა ფინანსური განათლების ტრენინგ-მოდული. მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვა. მომზადდა IFRS for SME-ის სატრენინგო მასალები და სასწავლო მოდულები და ჩატარდა ტრენინგები სამიზნე აუდიტორიებისთვის. კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით შემუშავდა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონპროექტი და წარედგინა მთავრობას. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდა საკრედიტო საგარანტიო სქემა. ჩატარდა მრგვალი მაგიდები/დისკუსიები მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების კუთხით არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირების მიზნით. აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიცა სესხები. ასევე, ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ ახალგაზრდა მეწარმეები. შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების

პროექტის ფარგლებში შეიქმნა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კოოპერატივების ჩაის გადამამუშავებელი საწარმოო დანადგარებით აღჭურვა. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევა.

მეორე სტრატეგიული მიმართულების მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

მესამე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებასა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელდა შრომის ბაზრის საჭიროებათა იდენტიფიცირება, მათ შორის სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული განზრახვების იდენტიფიცირება. “დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დასაქმდნენ სამუშაოს მაძიებლები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (შშმ პირები). მომზადდა შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებული კვლევები და ანალიზი. დამტკიცდა „განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა“. სავალდებულოდ დაინერგა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა პროფესიული სტუდენტისთვის მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის დროს მეწარმეობის მოდულის გავლა. განხორციელდა პროფესიული სასწავლებლების გაძლიერების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მეწარმეობის სწავლების ხელშეწყობას ახალი სასწავლო მოდულის განვითარებისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების დანერგვის გზით. პროფესიული განათლების სისტემაში სამუშაოზე დაფუძნებული დუალური მიდგომით ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები. დამტკიცდა არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი. ჩატარდა ტრენინგები ელექტრონულ წიგნიერებაში. ინტერნეტში ჩაერთვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახები. მეწარმეებმა ისარგებლეს „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტით. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ პარტნიორებთან თანამშრომლობით დაიწყო პრე-აქსელერატორის პროგრამა. მეწარმეობის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ვებ-გვერდზე განთავსდა საგანმანათლებლო მასალები და ბიზნეს-ლიტერატურა. ქალთა მეწარმეობის განვითარებისა და საჭიროებათა იდენტიფიცირების მიზნით, კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოსთან შეიქმნა პლატფორმა - ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭო. ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობისთვის გაიმართა „მეწარმე

ქალთა ეროვნული ბიზნეს ფორუმი.“ ქალებისათვის ტრენინგები ჩატარდა ბრენდინგის, ემოციური ინტელექტის, ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობების და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის საკითხებზე. ქალი მეწარმეების წახალისების მიზნით შემუშავებულია მცირე საგრანტო და თანადაფინანსების გრანტების პროგრამები. ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვის მიზნით პროცესს დაქვემდებარებული სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერების და ცნობიერების ასამაღლებლად ჩატარდა შესაბამისი შეხვედრები. ასევე, ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით განხორციელდა მეწარმეებისთვის კონსულტაციების გაწევა ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული სისტემის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

მესამე სტრატეგიული მიმართულების მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

მეოთხე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ექსპორტის ხელშეწყობას და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაციას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელდა რიგი აქტივობები DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ მეწარმეებს და დაინტერესებულ პირებს მიაწოდა ინფორმაცია ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის (მეტროლოგია, სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია) სერვისებთან და მეტროლოგიაში დამატებით მიღწეულ საერთაშორისო აღიარებებთან დაკავშირებით. DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებიდან გამომდინარე სარგებელსა და შესაძლებლობების თაობაზე ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია. მუდმივად მიმდინარეობს ვებგვერდის www.dcfta.gov.ge განახლება, რომელსაც მხოლოდ 2019 წლის განმავლობაში 20,020 ვიზიტორი ჰყავდა. განხორციელდა საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების ანალიზი და განისაზღვრა პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრები. განხორციელდა საერთაშორისო ბაზრების კვლევა ბაზრის მოთხოვნასა და პრიორიტეტულ პროდუქტებზე ამ ბაზრების მოთხოვნების, მათ შორის ტექნიკური მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით. მეწარმეებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ღონისძიებებში პარტნიორების მოძიების და ბიზნეს ურთიერთობების დამყარების უზრუნველსაყოფად. მიმდინარეობს მუშაობა ევროპის მეწარმეთა ქსელის - Enterprise Europe Network (EEN) პლატფორმაზე ინოვაციურ მეწარმეთა დასარეგისტრირებლად. გაიმართა არაერთი ბიზნეს ფორუმი საქართველოში და საზღვარგარეთ, საერთაშორისო გამოფენა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა დამწყებმა და მოქმედმა საწარმოებმა.

მეოთხე სტრატეგიული მიმართულების მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

მეხუთე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება, ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება და მათი კომერციალიზაცია. 2019 წლის განმავლობაში ქართულმა სტარტაპებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში სტარტაპების ხელშემწყობ ღონისძიებებში, მათ შორის, გამოფენებში, კონფერენციებსა და სემინარებში. ინოვაციური და ტექნოლოგიური საგრანტო პროგრამების ფარგლებში გაიცა გრანტები. რეგიონებში მეწარმეებისთვის განხორციელდა სასწავლო კურსი ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით. ქ.ბათუმში აშენდა და მოეწყო ინოვაციების ჰაბი. აქტიურად მიმდინარეობს რეგიონების დაფარვა მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური ინფრასტრუქტურით.

მეხუთე სტრატეგიული მიმართულების მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

შესავალი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის - „საქართველო 2020“-ის თანახმად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. **პირველი პრინციპი** ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. **მეორე პრინციპია** ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში, ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. **მესამე ძირითად** პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად პრინციპს კერძო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს და შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას მიიჩნევს ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად.

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად მიიჩნევა. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ინოვაციების განვითარებას, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს. შესაბამისად, ერთიანი მხარდამჭერი პოლიტიკის და შესაბამისი სტრატეგიის არსებობა ხელს უწყობს ქვეყანაში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, რაც ეფუძნება ადამიანური კაპიტალის განვითარებას, სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბებას, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ინოვაციებისა და კვლევების განვითარებას და სხვა. ყოველივე აღნიშნული კი ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია (2016-2020 წლებისთვის) და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, შემუშავდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) და GIZ-თან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2016 წლის 26 თებერვალს საქართველოს მთავრობის დადგენილებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება N100; 26.02.2016). სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი ევროკავშირის მხარდაჭერით განახორციელა OECD-მ, რომლის მიერაც სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობა წარმატებით შეფასდა და მონიტორინგის შედეგები წარდგენილ იქნა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, ევრაზიის კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ევრაზიის კონკურენტუნარიანობის მრგვალი მაგიდის ფორმატში (2018 წლის 19 ნოემბერს).

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითადი პრინციპები, მათ შორის, აღნიშნული აქტის უმთავრესი პრინციპი „უპირატესად იფიქრე მცირეზე“ და ასევე, ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით. ცხადია, ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც 2016-2020 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის არსებობასა და მის განხორციელებას გააჩნია მეწარმეობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ზრდას და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებისთვის.

სტრატეგიის მიზანი

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

სტრატეგიის ძირითადი ამოცანები

- ✓ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ✓ სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა;

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა.

2020 წლისთვის დასახული სამიზნე მაჩვენებლები *(საბაზისო - 2013 წელი)*

- ✓ 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;
- ✓ 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;
- ✓ 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

სტრატეგია მოიცავს **5 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას და პოლიტიკის შესაბამის პრიორიტეტულ ღონისძიებებს,** რომელიც შემუშავებულია არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის, მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს ანალიზის, არსებული შეფასებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით. შესაბამისი პრიორიტეტული ღონისძიებები და ქმედებები გაიწერა სამოქმედო გეგმაში.

სტრატეგიული მიმართულებები:

I *საკანონმდებლო, ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება*

II *ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება*

III *კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობა*

IV *ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა*

V *ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა*

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის თანახმად, თითოეული სტრატეგიული მიმართულება მოიცავს დეტალურ ქმედებებს, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების შესასრულებლად და შესაბამისად, თითოეული სტრატეგიული მიმართულებებით დასახული მიზნების მისაღწევად. კერძოდ, **სამოქმედო გეგმა 2019 წელს ითვალისწინებს 5 სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში 36 პრიორიტეტული ღონისძიების და 118 ქმედების განხორციელებას**. მათ შორის:

- ✓ პირველი სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 7 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 21 ქმედებას.
- ✓ მეორე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 19 ქმედებას.
- ✓ მესამე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 10 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 35 ქმედებას.
- ✓ მეოთხე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 33 ქმედებას.
- ✓ მეხუთე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 7 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 10 ქმედებას.

ამ ეტაპისთვის, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით 2020 წლისთვის განსაზღვრული **სამიზნე მაჩვენებლების** (მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%; 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15% და მწარმოებლურობის ზრდა 7%), **მიღწევა წარმატებით სრულდება.** კერძოდ, „საქსტატის“ მონაცემების თანახმად, 2018 წლისთვის:

- ✓ 2014-2018 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების საშუალო წლიური ზრდა 13.5%-ია;
- ✓ 2018 წ. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 31.8%-ია;
- ✓ 2018 წ. მწარმოებლურობის ზრდამ 4.5% შეადგინა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

პირველი სტრატეგიული მიმართულება: სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება

1.1. ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება

[1.1.1] მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და შესაბამის სამოქმედო გეგმის თანახმად, ერთ-ერთ პრიორიტეტულ ღონისძიებად განისაზღვრა **ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) პარტნიორობით, შემუშავებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. **ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულ კანონის პროექტზე ჩატარდა საჯარო-კერძო განხილვები. კანონპროექტი საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა** და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის“ 37-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო გაცნობის მიზნით, განთავსდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

1.2. მედიაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა

[1.2.1] დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა. მედიაციის სისტემის განვითარების მიზანია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის გაზრდა. შედეგად, სასამართლოს მაქსიმალურად განტვირთვა ისეთი დავებისაგან, რომლებსაც აქვთ ურთიერთშეთანხმებით დასრულების პერსპექტივა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა შესაბამისი კანონის პროექტი იუსტიციის სამინისტროს მიერ, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის, აგრეთვე დონორი ორგანიზაციების - USAID-PROLoG-ისა და GIZ-ის მხარდაჭერით. საქართველოს მთავრობამ **„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. კანონი მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ** და ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან.

1.3. ბიზნესისთვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესება

[1.3.1] აღნიშნული პრიორიტეტული ღონისძიება ითვალისწინებს **ბიზნესისათვის მისაწოდებელი სახელმწიფო სერვისების აღწერას.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა სერვისების აღწერა-ანალიზი-ინტეგრაცია და ვებ-პორტალზე აწყობა. საანგარიშო პერიოდში დამუშავდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის ათეულობით სახელმწიფო სერვისი და უკვე ონლაინ ხელმისაწვდომია ერთიანი ვებ პორტალის საცდელ ვერსიაზე. საცდელი ვერსიის ფარგლებში შექმნილ პლატფორმაზე ასახულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში არსებული სხვადასხვა უწყებების მიერ შექმნილი და ოპერირებადი ბიზნესისთვის რელევანტური მომსახურებები. საცდელ ვერსიაში ინტეგრირებული მომსახურებების რაოდენობა 70-ს აღწევს.

[1.3.2] **ბიზნესისათვის მისაწოდებელი სერვისების ოპტიმიზაცია/დიგიტალიზაციის** მიმართულებით მუშაობა სხვადასხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მომსახურებების მოდიფიკაციის მიზნითაც განხორციელდა. კერძოდ, ბიზნესისათვის სახელმწიფო სერვისების ელექტრონულად შეთავაზების მიზნით შესაბამისი სამუშაოები განხორციელდა:

- სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოი“ - მიმართულია „ერთი ფანჯრის პრინციპის“ დანერგვისკენ, რომელიც ითვალისწინებს საპორტო სექტორში ციფრული სერვისების დანერგვას, შემოსული გემების გათავისუფლებას ბიუროკრატიული ბარიერებისგან და არასაჭირო დოკუმენტაციის დამუშავების პროცესისგან;
- სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ - სახელმწიფო ქონების ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელდა სახელმწიფო ქონების ერთიანი ელექტრონული პორტალის შექმნის და სერვისების ოპტიმიზაციის სამუშაოები;
- სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტო“ - განხორციელდა აქტივობები მოპოვება/გადამუშავების პროცესში ინტეგრირებული მიდგომის ანუ ინტეგრირებული ნებართვის -“ერთი სარკმლის” პრინციპის დანერგვის მიმართულებით;
- სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“ - განხორციელდა აქტივობები ბიზნეს რეესტრის დამატებით ახალი ელექტრონული სერვისების დანერგვის კუთხით.
- სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტო“ - ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს სტანდარტად აღიარებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ონლაინ შეძენა.

[1.3.3] ბიზნესისათვის საჭირო სახელმწიფო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით **დამუშავდა ერთიანი ფრონტ ოფისის კონცეფცია**, მათი გამარტივების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის სერვისების აღწერა-ანალიზი-ინტეგრაცია და ვებ-პორტალზე აწყობა. აღნიშნული კონცეფციის განხორციელება ხელს

შეუწყობს საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მეწარმე სუბიექტებისა და დაინტერესებულ პირთათვის შესაბამის სახელმწიფო სერვისებზე წვდომას, ინვესტორთა და მეწარმე სუბიექტებისთვის საინტერესო ახალი სერვისების შექმნასა და არსებულის გაუმჯობესებას. კერძოდ, ელექტრონული სივრცის განვითარებით ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ მიიღონ გადამოწმებული, ერთგვაროვანი ინფორმაცია და მათთვის საჭირო სახელმწიფო სერვისები.

1.4. საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება

[1.4.1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქტიურად ახორციელებს **საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოებას და შესაბამისი კვლევების დაგეგმვას.** 2019 წლისთვის დაიგეგმა და შესაბამისად, განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების 2018 წლის სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც გამოქვეყნდა საქსტატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. კვლევაში წარმოდგენილია ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ განხორციელებული შესყიდვა-გაყიდვების მოცულობა სხვადასხვა ვალუტაში, საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი, ასევე, ადგილობრივ და უცხოელ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელიც ისარგებლებს გადამცვლელი პუნქტების მომსახურებით და სხვ.

2019 წელს განხორციელდა საწარმოებსა და ორგანიზაციებში შუალედური მოხმარების სტატისტიკური გამოკვლევა. შუალედური მოხმარება განსაზღვრავს იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობას, რომელიც მოხმარებულია დანახარჯების სახით წარმოების პროცესში.

1.5. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება

[1.5.1] **მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერების (capacity building) ღონისძიებების ფარგლებში** განხორციელდა შესაბამისი ინსტიტუტების თანამშრომელთა დატრენინგება, მათ შორის, საქართველოს ტექნოპარკების და ინოვაციების ცენტრების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენერების ტრენინგები (TOT), შემდეგი მიმართულებით: Lego & LittleBits, CorelDraw, Tinckercad და 3D ბეჭდვა; მიმდინარე წლის 20 - 23 იანვარს ხორვატიაში (ზაგრები) გაიმართა World Business Angel Investors Forum (WBAF)-ის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომელშიც გამოცდილების გაზიარებისა და „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ საქმიანობის წარსადგენად მონაწილეობა მიიღო სააგენტოს წარმომადგენელმა. სააგენტოს წარმომადგენელმა ასევე მონაწილეობა მიიღო 2019 წლის ივნისს ტაშკენტში CAMCA-ს რეგიონალურ ფორუმში. საქართველო - ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის ფარგლებში, 21 მარტს, სააგენტოს ტექნოპარკს ბელარუსის დელეგაცია ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს სხვადასხვა მიმართულებები, რაც

მოიცავდა საკანონმდებლო მიმართულებით გამოცდილების გაზიარებას, მაღალტექნოლოგიური IT კომპანიების საქართველოში შემოსვლის საკითხსა და ქართული სტარტაპების ბელარუსის ბაზარზე დამკვიდრების შესაძლებლობას.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს შვიდმა თანამშრომელმა გაიარა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენერთა გადამზადების ტრენინგი (TOT). ასევე, სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში იაპონიის სხვადასხვა ქალაქებში, რომელებიც უკავშირდებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის თემატიკას და შემდგომ ქვეყნის პრაქტიკის გაზიარებას ადგილობრივ დონეზე.

[1.5.2] **ბიზნეს ასოციაციების შექმნის ხელშეწყობა, ბიზნეს ასოციაციების/გაძლიერება**

მცირე და საშუალო მეწარმეობის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ახორციელებს **ბიზნეს ასოციაციების შექმნის და გაძლიერების ხელშეწყობას.** საანგარიშო პერიოდში პალატის ხელშეწყობით განხორციელდა პალატის საბჭოში შემავალი და სხვა ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების/ასოციაციების გაძლიერება.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, უზრუნველყოფილ იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეებისა და ბიზნეს-სექტორის შეხვედრები. ამასთანავე, პალატის ორგანიზებით ბიზნეს-ასოციაციების წარმომადგენლები შეხვედნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც ღონისძიების მონაწილეებს გააცნო „ეკონომიკური დიპლომატიის სამოქმედო გეგმა“. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრ ბიზნეს-ასოციაციებს სამინისტროსა და პალატის წარმომადგენლებისგან მიეწოდათ ინფორმაცია პროცესში ჩართვის პერსპექტივების შესახებ.

[1.5.3] მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერების თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს **საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკის შესწავლა**. სსიპ "აწარმოე საქართველოში", გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით და GIZ-ის მხარდაჭერით ხორციელდება მენეჯერთა გადამზადების პროგრამა, რომლის მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რაც უნიკალურ შანსს აძლევს ადგილობრივ მეწარმეებს წარმოებული პროდუქტი ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გაიტანონ ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზარზე.

პროგრამის ძირითადი მიზანია გერმანიის ბიზნეს-მენეჯმენტის პრაქტიკის შესწავლა; საერთაშორისო ურთიერთობების შესაძლებლობების განვითარება; საერთაშორისო ბიზნეს-ურთიერთობების უნარების განვითარება; გერმანულ კომპანიებთან კავშირების დამყარება; პოტენციური ბიზნეს-ურთიერთობების განვითარება. პროგრამა მოიცავს როგორც ტრენინგებს, ასევე, ვიზიტებს გერმანულ კომპანიებში და ინდივიდუალურ შეხვედრებს ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან.

პროგრამაში მონაწილეობენ მცირე და საშუალო საწარმოების საშუალო ან მაღალი დონის მენეჯერები, რომელთაც აქვთ მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება, უმაღლესი განათლება ეკონომიკური, სავაჭრო, ტექნოლოგიური, მენეჯერული ან სხვა მსგავსი სპეციალობით და კარგად ფლობენ ინგლისურ ენას. ასევე, კომპანია 2-3 წლის განმავლობაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო ბაზარზე, ჰქონოდა სურვილი ეთანამშრომლა გერმანულ კომპანიებთან კონკრეტული იდეებით. პროგრამა ჩატარდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

2019 წელს აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 18 კომპანიის წარმომადგენელმა.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით განხორციელდა **ინოვაციების, ტექნოლოგიების, ბიზნეს აქსელერატორების, ინოვაციების ინფრასტრუქტურისა და სხვა თემებზე გამოცდილების გაზიარება** შემდეგი ქვეყნებიდან: დიდი ბრიტანეთი, აშშ, სომხეთი, ხორვატია, იტალია, ბელარუსის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, საერთაშორისო აქსელერატორებთან, რომელთაც გამოცდილება აქვთ როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობის.

[1.5.4] ღონისძიება ითვალისწინებს **სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ შედეგების შეფასების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებას.** სსიპ"აწარმოე საქართველოში" სააგენტოს დაკვეთით კომპანიამ "BDO" ჩაატარა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შედეგების ეფექტიანობის კვლევა ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების ფარგლებში. კვლევის შედეგად BDO-მ წარმოადგინა გარკვეული რეკომენდაციები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, როგორიცაა სექტორების ანალიზი, იმპორტზე დამოკიდებულება, კომპლექსური მიდგომა, სახელმწიფო უწყებათაშორისი თანამშრომლობა, მსგავსი პროგრამების გამოცდილება და სხვა. სააგენტომ დაიწყო და აგრძელებს მუშაობას წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების და მათი ზემოაღნიშნულ პროგრამაში დანერგვის მიზნით.

[1.5.5] **მცირე და საშუალო მეწარმეობის საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზებისთვის,** საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ განახორციელა ინოვაციების და მეწარმეობის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამები და

ფინანსებზე წვდომის პროგრამის ფარგლებში გასცა მინი და წილობრივი გრანტები. სააგენტო პროგრამის ფარგლებში გასცემს 5,000 ლარიან, 100,000 ლარიან და 650,000 ლარიან გრანტებს. 5,000 ლარიანი მცირე გრანტების პროგრამა წარმოადგენს თემატური დაფინანსების მექანიზმს, რომლის მიზანია სტარტაპების შექმნის და განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ღია კონკურსის გზით და დადგენილი კრიტერიუმებით შეირჩა აპლიკანტები, რომლებიც დაფინანსდნენ ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში პროტოტიპის შექმნის, მისი გამოცდის, დახვეწის ან/და გაუმჯობესებისთვის. შედეგად, განხორციელდა როგორც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ასევე, გაუმჯობესდა არსებული ტექნოლოგიები; ღონისძიების გრანტი გაიცა საქართველოში ჰაკათონის, მეიქათონის, კრეათონის, ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიების ჩატარების მიზნით, რომელიც ითვალისწინებდა მოკლე დროში ინოვაციური პროდუქტის პროტოტიპის, კრეატიული იდეის ბიზნეს მოდელის თუ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას; ხოლო სამგზავრო გრანტები გაიცა საქართველოს ფარგლებს გარეთ ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, ვორქშოფი, ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიებები და სხვ.) მონაწილეობისთვის, რომლის შედეგად მოხდა ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება პოტენციურ ინვესტორებთან, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინოვაციების ეკოსისტემის გაძლიერების თვალსაზრისით. 2019 წელს მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში სააგენტოში შევიდა 393 განაცხადი, საიდანაც **124-ზე** გაიცა საგრანტო დაფინანსება.

100,000 ლარიანი და 650,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში დამწყებ მეწარმეებზე გაიცა ფინანსური რესურსი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში, საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისებას და კომერციალიზაციის გზით ინოვაციების და ინოვაციური საწარმოების შექმნას. 2019 წელს 100,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა **39 პროექტი,** ხოლო 650,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში 60 აპლიკანტიდან **4-მა პროექტმა** მიიღო ფინანსური მხარდაჭერა.

სააგენტომ **„აწარმოე საქართველოში“** 2019 წელსაც განახორციელა მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზება მეწარმეებისთვის, რაც გულისხმობს შესაბამის დადგენილებაში ისეთი ცვლილების შეტანას, როგორიც არის პრიორიტეტული სექტორების დამატება, პროგრამების მოდერნიზება სხვადასხვა პირობების თუ კრიტერიუმების მიხედვით.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით ჩატარდა 4 შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეხვედრა „ლე როშეს“ აღმასრულებელ დირექტორს კარლოს

დიეს დე ლა ლასტრას და სახელმწიფო პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ ბენეფიციარ კომპანიებს შორის.

ღონისძიების ფარგლებში წარდგენილი იყო პრეზენტაცია პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ პირობების და მიღწეული შედეგების შესახებ, ხოლო ტურიზმის სფეროში მიმოხილული იქნა საქართველოში ტურიზმის სექტორის მნიშვნელობა.

შეხვედრის მიზანი იყო სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში არსებული გამოწვევებისა და კერძო სექტორის საჭიროებების იდენტიფიცირება, რომლის მიხედვითაც განხორციელდება გამოკვეთილ საჭიროებებზე მორგებული პროგრამა, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და კომპანიის „ლე როშეს“ ეგიდით.

ასევე, ჩატარდა სამშენებლო სექტორის მიმართულებით ჩართულ ბენეფიციარებთან სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემები და სახელმწიფოს რეგულაციები ამ მიმართულებით.

GIZ-ის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგნელებთან, სადაც მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია სააგენტოს და GIZ-ის თანამშრომლობის ფარგლებში განხორცილებული პროექტების შესახებ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ განხორციელდა არაერთი პროექტი მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის სამეწარმეო სერვისების შეთავაზების მიზნით, კერძოდ, განხორციელდა პროექტი „მოიძიე პარტნიორი“, კონსულტაციები გაეწიათ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს მნიშვნელოვან სერვისებთან მიმართებით, ჩატარდა ექსპერტიზა, ბიზნეს-ფორუმები, გაიცა სერტიფიკატები, განხორციელდა GS1 კოდების მინიჭება.

[1.5.6] **მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით,** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით შედგა შეხვედრები - სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და „სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ წარმომადგენელთა მონაწილეობით.

1.6. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება

[1.6.1] საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყოველკვარტალურად მართავს **კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებს**, სადაც მონაწილეობას ღებულობენ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები. საბჭოს ყოველ კვარტალური შეხვედრების ფარგლებში, კერძო სექტორს წარედგინა და შესაბამისი დისკუსიები შედგა მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, „კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს“ სხდომებზე წარდგენილ იქნა

პრეზენტაციები შემდეგი საკითხების თაობაზე, როგორიცაა საკრედიტო - საგარანტიო სქემა; ბიზნეს რეესტრის ელექტრონული სერვისები; საქართველოს სოფლის განვითარების საზოგადოებრივი ქსელი; ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის რეფორმა; ტელეკომუნიკაციის სფეროში რეფორმა; ხორბლისა და ფქვილის სექტორში არსებული მდგომარეობა; ენერგეტიკულ სექტორში დაგეგმილი რეფორმა; სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების სერვისები; ფინანსური განათლების კუთხით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები; „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი; ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭოს ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობა. ასევე, გაიმართა დისკუსია კერძო სექტორის მხრიდან დასმულ საკითხებთან მიმართებით.

[1.6.2] საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიმართულება ითვალისწინებს ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებას. ამ მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ რეგულარულად იმართება **ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს** და [1.6.3] **DCFTA-ის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები.** ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს პირველ შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების ეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. მიმდინარე წლის 19 ივლისს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (G4G-ის) პროგრამის მხარდაჭერით, გაიმართა სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის გაერთიანებული შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა DCFTA-ის ვალდებულებების შესაბამისად მომზადებული სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი და ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების - ელექტრომაგნიტური თავსებადობისა (EMC) და დაბალი ძაბვის შესახებ (LVD) რეგულაციის გავლენის შეფასების შედეგები, რომლებიც მომზადდა PMO საკონსულტაციო ჯგუფის მიერ G4G-ის მხარდაჭერით.

[1.6.4] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით განხორციელდა **საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგი არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირების მიზნით.** საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა პროფესიული განათლების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრას 100-მდე კომპანიისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი პირი დაესწრო (22 აპრილი, 2019წ.).

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან, საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში, გაიმართა შეხვედრა. ღონისძიების მიზანი იყო ტურიზმის სფეროში საგანმანათლებლო და სატრენინგო პროექტებისა და გეგმების შესახებ სექტორის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის

მიწოდება. შეხვედრას ტურისტული კომპანიებისა და სასტუმრო ბიზნესის 100-მდე წარმომადგენელი დაესწრო (20 მაისი, 2019 წ.).

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები, საბანკო ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდა 11 კომერციული ბანკის წარმომადგენელი. ბანკების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ მოსამართლეებთან შეხვედრისას ყველა აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე ესაუბრათ (23 მაისი, 2019 წ.).

საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში გაიმართა შეხვედრა სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოსა და კერძო სექტორს შორის. ღონისძიებაზე განიხილეს ახალი კანონპროექტი „საჯარო შესყიდვების შესახებ“. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბჭოს წევრები და კერძო სექტორის 30-მდე წარმომადგენელი (1 აგვისტო, 2019 წ.).

1.7. პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების RIA-ს სისტემის შექმნა

[1.7.1] სტრატეგიის სამოქმედო გეგმის თანახმად, **რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) იმპლემენტაცია** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, რადგან RIA დღეისათვის მსოფლიოში აპრობირებული „უკეთესი რეგულირების“ სისტემის ძირითადი მეთოდია, რომელიც ხელს უწყობს ერთიანი სახელმწიფო მიდგომის ჩამოყალიბებას. RIA წარმოადგენს დასაბუთებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას, რომელიც თანმიმდევრულ და სტრუქტურულ ჩარჩოს ქმნის არსებული პრობლემების მოგვარებისათვის. რეგულაციურ რეფორმებთან დაკავშირებული უწყებების წარმომადგენელთა მიერ გაანალიზდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ძირითადი პრინციპების ამსახველი თეორიული მასალა, ევროპის განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და ჩამოყალიბდა ხედვა საქართველოში რეგულირების ზეგავლენის შეფასების ეტაპობრივად დანერგვის საკითხთან დაკავშირებით.

[1.7.2] RIA-ს იმპლემენტაციის ანალიზმა ცხადყო **RIA-ს სავალდებულო დანერგვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილების მომზადების და საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის წარდგენის** საჭიროება. საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს პარლამენტს წარუდგინა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ.

[1.7.3] „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობას **RIA-ს ინსტიტუციური მექანიზმის შემდგომი განვითარების მიზნით** დაევალა რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცება.

საქართველოს მთავრობის პარტნიორების - ევროკავშირის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), მმართველობა განვითარებისათვის (G4G) და USAID-ის მხარდაჭერით, შემუშავებულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების კონცეფციის დოკუმენტი და ხარჯისა და სარგებლის ანალიზის ტექნიკური სახელმძღვანელო.

[1.7.4] დონორთა მხარდაჭერით ჩატარდა **RIA-ს განმახორციელებელი ინსტიტუციების ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება RIA SME Test-ზე მიმართებით.** ევროპის კომისიის მხარდაჭერით, ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპერტების მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის გაიმართა ვორქშოფი თემაზე „RIA SME Test", რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ცნობიერების ამაღლება RIA SME Test-ის მეთოდოლოგიასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. ვორქშოფზე ევროკავშირის ექსპერტების მიერ მოხდა RIA SME Test-ის შესახებ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

პირველი სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 2019 წელს განსახორციელებელ **7 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 21 ქმედებას,** რომლებიც სრულად შესრულებულია.

2019 წელს შესრულდა, პირველი სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები", მათ შორის:

- ✓ *გადახდისუუნარობის შესახებ შემუშავებულ ახალ კანონის პროექტზე ჩატარდა საჯარო-კერძო განხილვები;*
- ✓ *გადახდისუუნარობის შესახებ შემუშავებული ახალი საკანონმდებლო პროექტი წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის;*
- ✓ *მედიაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროექტი მოამზადდა და მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ;*
- ✓ *დამუშავებულია ერთიანი ფრონტ ოფისის კონცეფცია ბიზნესისათვის მისაწოდებელი სერვისების გასაუმჯობესებლად;*
- ✓ *დიგიტალიზებულია ბიზნესისათვის მისაწოდებელი სერვისები;*
- ✓ *გაფართოვდა საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის არეალი და განხორციელდა საწარმოებსა და ორგანიზაციებში შუალედური მოხმარების სტატისტიკური გამოკვლევა, ასევე განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტატისტიკური გამოკვლევა;*
- ✓ *დაფუძნდა ახალი ბიზნეს ასოციაციები;*

- ✓ *შეთავაზებულ იქნა მეწარმეობის საჭიროებებზე მორგებული სერვისები;*
- ✓ *ჩატარდა შეხვედრები მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით;*
- ✓ *ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები;*
- ✓ *ჩატარდა ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA-ის შეხვედრები;*
- ✓ *განხორციელდა RIA-ს იმპლემენტაციის პროცესის ანალიზი და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები;*
- ✓ *RIA-ს სავალდებულო დანერგვის მიზნით მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილები;*
- ✓ *RIA-ს და მათ შორის RIA SME Test-თან მიმართებით ჩატარდა ტრეინინგები და ვორქშოპები.*

პირველი სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად

პირველი სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინსტიტუციური, სამართლებრივი და სამეწარმეო ბიზნეს გარემო.

ინსტიტუციური გარემო

მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“ მსოფლიოს 214 ქვეყანას მმართველობის 6 მიმართულებით აფასებს, როგორიცაა **მმართველობის ეფექტიანობა; რეგულაციების ხარისხი;** გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება; პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობასთან ბრძოლა; კანონის უზენაესობა და კორუფციის კონტროლი.

2018 წელს 2012 წელთან შედარებით, საქართველოს სარეიტინგო ქულა ყველა ინდიკატორში გაუმჯობესდა, ხოლო 2018 წელს 2 ინდიკატორში „მმართველობის ეფექტიანობისა“ და „რეგულაციების ხარისხის“ ინდიკატორში საქართველოს ქულამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.

2018 წელს „მმართველობის ეფექტიანობის“ ინდიკატორში საქართველომ 74.04 ქულით 55-ე პოზიცია დაიკავა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ინდიკატორში გაუმჯობესდა როგორც ქვეყნის ქულა, ასევე სარეიტინგო მდგომარეობა.

მმართველობის ეფექტიანობა ეფუძნება შეფასებებს საჯარო და სამოქალაქო სერვისების და მათი პოლიტიკური წნეხისგან დამოუკიდებლობის ხარისხთან დაკავშირებით. ასევე, პოლიტიკის შემუშავების, განხორციელების და ასეთი პოლიტიკის წარმოების მიმართულებით მთავრობის საიმედოობის ხარისხს.

„მმართველობის ეფექტიანობის“ ინდიკატორი აანალიზებს და აფასებს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ბიუროკრატიის ხარისხი, ინფრასტრუქტურის ხარისხი, განათლების ხარისხი, ბიუროკრატიის ხარისხი, საჯარო მმართველობის ეფექტიანობა, აქტივების გამოყენების ეფექტიანობა, სამოქალაქო სერვისების ინტეგრირება, საჯარო მმართველობა, ხელსაყრელი ბიზნეს გარემო, ნდობა მთავრობის მიმართ და სხვა.

„რეგულაციების ხარისხის“ ინდიკატორში საქართველომ შეფასების რანგირების 100%-იანი შკალიდან 83.17% დაიმსახურა და 2018 წელს მსოფლიოში 36-ე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ 2012 წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია აღნიშნულ ინდიკატორში 19 ადგილით გაუმჯობესდა.

„რეგულაციის ხარისხის“ ინდიკატორი აერთიანებს შეფასებებს მთავრობის მიერ კერძო სექტორის განვითარების მასტიმულირებელი პოლიტიკის და ასევე, რეგულაციების შემუშავების და განხორციელების კუთხით. ინდიკატორი აანალიზებს და აფასებს, მათ შორის, ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა, მთავრობის რეგულაციების ტვირთი, გადასახადების ეფექტი, ბიზნესის დაწყების პროცედურები, საინვესტიციო და ფინანსური თავისუფლება, ქვეყნის საინვესტიციო პროფილი და სხვა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ ზომავს ქვეყნებში მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო **ინსტიტუტების** მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. ინდექსი ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს შექმნისათვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. ინდექსი განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში“ 2019 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულამ 60,6 შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 0,8 ქულით აღემატება. საქართველოს ქულები გაუმჯობესდა ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, ICT მიღების მზაობა, უნარები, ფინანსური სისტემა, ბაზრის მოცულობა, ბიზნესის დინამიურობა და ინოვაციური უნარ-ჩვევები.

გადახდისუუნარობა

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის ერთ-ერთი ინდიკატორია **გადახდისუუნარობა**, რომელიც მსოფლიოს 190 ქვეყანას აფასებს საწარმოს გადახდისუუნარობის ან რეაბილიტაციის პროცესის დასრულებისთვის საჭირო დროის, დანახარჯისა და გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შედეგის მიხედვით, ასევე, გადახდისუუნარობის სისტემის ეფექტიანობის თვალსაზრისით.

2019 წელს მომზადდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია დღეს მსოფლიო პრაქტიკაში არსებული საუკეთესო პრინციპები. საგულისხმოა, რომ კანონპროექტის მიღება და მისი აღსრულება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საქართველოში ბიზნესის რეაბილიტაციის ან დახურვის პროცესებს.

თავის მხრივ, აღსანიშნავია 2017 წლის მაისში „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში **განხორციელებული ცვლილებები**. ამ რეფორმის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა როგორც მოვალის, ასევე კრედიტორ(ებ)ის უფლებები. კერძოდ, ცვლილებების თანხმად, მოვალე უფლებამოსილია განცხადებით მოითხოვოს როგორც რეაბილიტაცია, ისე - გაკოტრება; ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია განცხადების შეტანა მოვალის გადახდისუუნარობის თაობაზე; გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში გრძელდება მოვალის საქმიანობის უწყვეტობისათვის არსებითი საქონლის/მომსახურების მიწოდება; კრედიტორისთვის ზიანის მომტანად ითვლება მოვალის მიერ ისეთი გარიგების დადება ან სხვა ისეთი ქმედების განხორციელება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სამეურვეო ქონების გაუფასურება (მათ შორის სამეურვეო ქონების ან მისი ნაწილის გაჩუქება, ან საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად დაბალ ფასად გასხვისება, ვალის პატიება და სხვა); კრედიტორს ან/და კრედიტორთა კრებას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ფინანსური ინფორმაცია მოვალის შესახებ; კრედიტორის მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების უფლება აქვს როგორც იმ კრედიტორს, რომლის წინააღმდეგაც არის გამოტანილი განჩინება, ასევე, ნებისმიერ სხვა კრედიტორსაც.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილები და მისი პრაქტიკაში დანერგვა დადებითად აისახა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში საქართველოს შეფასებაზე. კერძოდ, მაშინ როდესაც 2017 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულა საუკეთესო მაჩვენებელიდან დაშორებით (DTF) მხოლოდ **40.02-ს შეადგენდა.** საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2018 წელს საქართველოს ქულა (DTF) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 55.59 ქულას გაუტოლდა. 2019 და 2020 წლების რეიტინგის კვლევაში ქვეყნის სარეიტინგო ქულები კიდევ უფრო გაუმჯობესდა და შესაბამისად, **56.03** და **56.20 ქულა შეადგინა**.

დიაგრამა 1. საქართველოს ქულა „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის გადახდისუუნარობის ინდიკატორში



მეორე სტრატეგიული მიმართულება: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

2.1. ფინანსური განათლების გაუმჯობესება

[2.1.1] სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ჩაატარა **მეწარმეთათვის ტრენინგები, მათ შორის, ფინანსური განათლების გაუმჯობესების მიზნით.** კერძოდ, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში 2,403 გამარჯვებულ ბენეფიციარს ჩაუტარდა დარგობრივი ტრენინგები ფინანსების, მარკეტინგის, მეფუტკრეობის, მექანიზაციის და ბუღალტრული მიმართულებით.

„აწარმოე საქართველოში“ სააგენტომ, GIZ-ის მხარდაჭერით 2019 წლის აპრილის თვეში 19 მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელს ჩაუტარა ტრენინგი DCFTA-ის საკითხებთან დაკავშირებით.

„აწარმოე საქართველოში“ სააგენტო ტენდერის გზით შერჩეულ წამყვან ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (უსდ) ერთად ახორციელებს ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსს. კურსის მოდულები სხვა ექსპორტის საკითხებთან დაკავშირებულ თემებთან ერთად, ასევე, მოიცავს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის საკითხებს DCFTA-ის ფარგლებში. ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსის ფარგლებში, 2015 წლიდან დღემდე, სულ გადამზადებულია 238 ექსპორტის მენეჯერი, მათგან 2019 წელს - 40 მენეჯერი. კურსებს დაესწრო 25 ექსპორტიორი და ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიის წარმომადგენელი.

[2.1.2] მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსური განათლების მიმართულებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და ექსპორტის განვითარების ასოციაციის (EDA) ჩართულობით, მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის ფინანსური განათლების პროგრამა განავითარა. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა „მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება“ და შესაბამისი ტრენინგ-მოდული. 2019 წელს პროექტის ფარგლებში გაიმართა პროექტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამასთან, შემუშავებული ტრენინგ-მოდულისა და სახელმძღვანელოს მიხედვით **ჩატარდა 3 ტრენერთა ტრენინგი (ToT), კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასამთავრობო და საჯარო ორგანიზაციების ტრენერებისთვის** (ჯამში 14 ორგანიზაცია), სულ გადამზადდა 46 ტრენერი.

[2.1.3] საქართველოს ეროვნული ბანკი მუშაობს აგრო მეწარმეებისთვის ფინანსური განათლების ტრენინგ-მოდულის შემუშავებაზე, რაც ითვალისწინებს არსებული **აგრო**

მეწარმეების ბროშურის თარგმნასა და ადაპტირებას და ტრენინგების ჩატარებას, მათ შორის, ტრენერთა ტრენინგის (ToT). ბროშურისა და ტრენინგ-მოდულის შესამუშავებლად შეირჩა საკონსულტაციო კომპანია და გაფორმებულია ხელშეკრულება. ასევე, განხორციელდა სამუშაოები ბროშურის ადაპტირების მიზნით.

[2.1.4] საქართველოს ეროვნული ბანკის და შემნახველი ბანკების ფონდი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის (SBFIC) ერთობლივი პროექტის ფარგლებში განისაზღვრა მიკრო და აგრომეწარმეებისთვის **სიმულაციური თამაშების „ბიზნეს სიმულაცია მიკრო მეწარმეებისთვის“ და „ფერმერების თამაში“ ქართულ ენაზე ადაპტირება და ტრენერთა ტრენინგის ჩატარება.** საანგარიშო პერიოდში შემუშავებული იქნა ორივე თამაშის ქართულენოვანი ვერსია. ამასთან, SBFIC-ის მიერ ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი „ბიზნეს სიმულაციაში მიკრო მეწარმეებისთვის“ და სულ გადამზადდა 34 ადგილობრივი გამავრცელებელი.

2.2. მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვაში

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია, საქართველოში დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადების და წარდგენის სტანდარტები.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები მოიცავს, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS for SMEs). მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) არის მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოებისთვის.

[2.2.1] ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, G4G-ის ფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში და ბიზნეს ასოციაციებთან (დამსაქმებელთა ასოციაცია, GSMEA, ფერმერთა ასოციაცია, პროფესიული ორგანიზაციები (ბაფ. ბას. GFAAFM)) პარტნიორობით, საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვის მიზნით **შეირჩა სამუშაო ჯგუფი, მომზადდა IFRS for SME-ის სატრენინგო მასალები და სასწავლო მოდულები სრულად ითარგმნა.**

[2.2.2] ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით **განისაზღვრა ტრენინგებში მონაწილე სამიზნე აუდიტორია.**

[2.2.3] **IFRS for SME-ის ტრენინგებისთვის შერჩეული სამიზნე აუდიტორიისთვის ჩატარდა ტრენინგები.** წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტების შესახებ სწავლება **800**-ზე მეტ ბუღალტერს ჩაუტარდა. აქედან, დონორთა დაფინანსებით, უფასო სწავლება ჩაუტარდა **500**-ზე მეტ ბუღალტერს. აღნიშნული სწავლების ძირითადი დამფინანსებლები იყვნენ USAID, მსოფლიო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელთა დახმარებით აღნიშნული სწავლებები ჩატარდა და მომავალშიც ჩატარდება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

2.3. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების მოზიდვის (fund raising) საკითხებში

[2.3.1] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და ევროკავშირის ორგანიზებით **სტარტაპებისთვის** ჩატარდა **ტრენინგები ფონდების მოძიების თემატიკაზე.** Investment Readiness-ის პროგრამის ფარგლებში 2019 წლის სექტემბერსა და დეკემბერში საინვესტიციო მზადყოფნის თაობაზე გაიმართა სამუშაო შეხვედრა/ვორქშოფები ქართულ სტარტაპებთან.

2.4. მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესის (startup) დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა

[2.4.1] **ქართული სტარტაპების უცხოური სარისკო კაპიტალის ინვესტორებთან (angel and venture investors) და მენტორებთან დაკავშირების (pitching სესიებისა და B2B შეხვედრების ორგანიზება) ხელშეწყობის** მიზნით საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ არაერთ ღონისძიებას უმასპინძლა. თბილისის ტექნოპარკში ფინეთის ასოციაცია Neogames-ის დირექტორმა, KooPee Hiltunen-მა, თამაშების ინდუსტრიაში მოღვაწე სტარტაპერებთან გამართა შეხვედრა. ტექნოპარკს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მმართველი დირექტორი კრისტინ ლაგარდი ესტუმრა, რომლის წინაშეც ქართველი სტარტაპერები პრეზენტაციებით წარსდგნენ. NBA-ს ორგზის ჩემპიონი, ენტრეპრენერი და „angel investor"-ი ზაზა ფაჩულია ქართველ სტარტაპერებს ტექნოპარკში შეხვდა; თბილისს ეწვია თურქეთის ქ.ანკარის ბილქენთის სახელობის უნივერსიტეტის ტექნოპარკ CYBERPARK-ის წარმომადგენლები და სტარტაპერები. ვიზიტის ფარგლებში საქართველოში თურქეთის საელჩოსა და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა B2B ბიზნეს ფორუმი.

[2.4.2] **კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით „საინვესტიციო ფონდების შესახებ" კანონპროექტის საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში განხილვა** 2019 წლის განმავლობაში ორჯერ განხორციელდა. დიალოგის ფორმატში მონაწილეობა მიიღეს ბაზრის მონაწილეებმა, სამუშაო ჯგუფის და პარლამენტის წევრებმა. პირველი შეხვედრა მიზნად ისახავდა „საინვესტიციო ფონდების შესახებ" კანონპროექტის ძირითადი

დებულებებისა და პრინციპების გაცნობას ფართო აუდიტორიისათვის, მეორე შეხვედრის მიზანი იყო შუალედური პერიოდის განმავლობაში ბაზრის მონაწილეებთან დამატებითი შეხვედრების შედეგად დაგროვილი ყველა შენიშვნისა და კომენტარის გათვალისწინებით რედაქტირებული კანონპროექტის მათთვის გაცნობა. შეხვედრებს ესწრებოდნენ როგორც მსხვილი ინვესტორები (თანაინვესტირების ფონდის სახით), ასევე სარისკო კაპიტალის ინვესტორებიც (ალიანს გრუპის სახით). აღსანიშნავია, რომ ბაზრის მონაწილეთა თხოვნისა და ინტერესის გამოხატვის შედეგად, მოხდა მათთვის აღნიშნული კანონპროექტიდან გამომდინარე „საგადასახადო კოდექსში“ ასახული ცვლილებების პროექტის გაცნობა, რაზეც ბაზრის მონაწილეებმა გააკეთეს შესაბამისი კომენტარები.

[2.4.3] **კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით შემუშავდა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონპროექტი და წარედგინა მთავრობას.** კანონის პროექტი მნიშვნელოვნად დაიხვეწა საჯარო-კერძო განხილვების პროცესში გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების შესაბამისად. ამასთან, კანონპროექტთან მიმართებით მომზადდა, ასევე, გამომდინარე კანონის პროექტები და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობის ცხრილი. კანონის პროექტის მთავრობისთვის წარდგენამდე მოხდა საბოლოო ვარიანტის გაცნობა ბაზრის მონაწილეებისათვის, რომლის შემდგომაც განხორციელდა კანონპროექტის მთავრობისთვის წარდგენა.

2.5. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის

[2.5.1] **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით აღსანიშნავია საკრედიტო საგარანტიო სქემის ამოქმედება.** აღნიშნული სქემის მიზანია ხელი შეუწყოს იმ საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის სიცოცხლისუნარიან ბიზნესს კრედიტის აღებაში. საკრედიტო საგარანტიო სქემა ხელს შეუწყობს ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებას, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი უზრუნველყოფა არსებული საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში სესხის ასაღებად ან ოპერირებენ ისეთ სექტორში ან ბაზარზე, რომელიც საბანკო სექტორში არსებული საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად დაკავშირებულია განსაკუთრებით მაღალ რისკთან.

საკრედიტო საგარანტიო სქემა ეფუძნება პორტფელის გარანტიებს. სესხის შეფასება ხორციელდება კომერციული ბანკის მიერ. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში, საკრედიტო გარანტია გაიცემა კომერციული ბანკის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე, სესხის ძირი თანხის არაუმეტეს 70%-ის ოდენობით და თითოეული კომერციული ბანკისთვის პროგრამის ფარგლებში არსებული სასესხო პორტფელის არაუმეტეს 15%-ის ოდენობაზე.

საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში, გარანტიები გაიცემა მხოლოდ ლარში აღებულ სესხებზე. მეწარმე სუბიექტს შეეძლება არანაკლებ 50 ათასი და არაუმეტეს 2 მლნ ლარის მოცულობის სესხის აღება. ამასთანავე, მსესხებლის ბრუნვა ბოლო 3 წლის განმავლობაში საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს 20 მლნ ლარს და მისი მთლიანი სასესხო ვალდებულებები სესხის აღების მომენტისთვის 8 მლნ ლარს. საკრედიტო გარანტიის მაქსიმალური ვადა შეადგენს 10 წელს.

საკრედიტო საგარანტიო სქემის ამოქმედების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და 12 კომერციულ ბანკს შორის დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები.

[2.5.2] სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებას უწევს **მხარეებს შორის მრგვალი მაგიდების/დისკუსიების ჩატარებას მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების კუთხით არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებისთვის, მათი შემდგომი შემცირების მიზნით.** სააგენტოს მიერ მცირე და საშუალო ბიზნესთან ჩატარებული რეგიონული თუ ადგილობრივი საინფორმაციო ტიპის შეხვედრების გამართვის შედეგად გამოიკვეთა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით სესხის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ბაზაზე ამოქმედდა საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი, რომელიც იქნება კიდევ ერთი დამატებითი პროგრამა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად. სახელმწიფო პროგრამის, საკრედიტო-საგარანტიო სქემასთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, საინფორმაციო შეხვედრები დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესით დაინტერესებული ადამიანების ინფორმირებას პროგრამის ფარგლებში სესხის აღების პირობების, პროცედურებისა და ეტაპების შესახებ.

საკრედიტო-საგარანტიო სქემის პროექტზე შედგა დისკუსია კერძო სექტორთან, მათ შორის საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის - „კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს“ ფარგლებში. საბჭო შექმნილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით და ფუნქციონირებს სამინისტროსთან.

[2.5.3] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ **შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიცა 5,118 სესხი.** ბიუჯეტის შესრულებამ შეადგინა 70,554,924 ლარი.

2.6. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის წამოწყების ან განვითარების თანადაფინანსების (სუბსიდირების) გზით

[2.6.1] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები: **ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამა**, რომლის ფარგლებში დაფინანსდა 100 ახალგაზრდა მეწარმე.

[2.6.2] პროგრამის **„დანერგე მომავალი“ ფარგლებში**, დაფინანსდა 493 ბენეფიციარი (აქედან, 196 ბენეფიციარი დაფინანსდა სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში).

[2.6.3] **შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში** შეიქმნა 7 გადამამუშავებელი და 10 შემნახველი საწარმო.

[2.6.4] **ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში** განხორციელდა 8 კოოპერატივის ჩაის პირველადი დამუშავებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარებით აღჭურვა და განხორციელდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია.

[2.6.5] აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 10,407 ბენეფიციარის მიერ მოყვანილი **სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევა.**

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

მეორე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 19 ქმედებას. საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდა 6-ვე პრიორიტეტული ღონისძიება.

2019 წელს შესრულდა მეორე **სტრატეგიული** მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ *მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში ჩატარდა ბენეფიციართა ტრენინგები;*
- ✓ *ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის და ფინანსური გადაწყვეტილების მიღების საკითხებზე ჩატარდა ტრეინინგები მიკრო და მცირე მეწარმეებისათვის;*
- ✓ *აგრო მეწარმეებისათვის შემუშავდა ბროშურები ფინანსური განათლების თაობაზე;*
- ✓ *მომზადდა IFRS for SME-ის ტრენინგის მოდული;*
- ✓ *განისაზღვრა სამიზნე აუდიტორია და ჩატარდა IFRS for SME-ის ტრენინგები სამიზნე ჯგუფებისთვის;*
- ✓ *ჩატარდა შეხვედრები ფონდების მოძიების თემატიკაზე;*

- ✓ *გაიმართა შეხვედრები სტარტაპებსა და უცხოურ სარისკო კაპიტალის ინვესტორებთან;*
- ✓ *„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონპროექტზე გაიმართა საჯარო-კერძო განხილვები და კანონპროექტი წარედგინა საქართველოს მთავრობას;*
- ✓ *„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით ამოქმედდა საკრედიტო საგარანტიო სქემა;*
- ✓ *გაიმართა მრგვალი მაგიდები/დისკუსიები მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების კუთხით არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირების მიზნით;*
- ✓ *სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ პირებზე გაიცა შეღავათიანი სესხები;*
- ✓ *სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაფინანსდნენ ახალგაზრდა მეწარმეები.*

მეორე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესია ბიზნესის განვითარების, მწარმოებლურობის ზრდის, ექსპორტის არეალის გაფართოების და შესაბამისად, ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის მისაღწევად.

დღეს საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და ზრდისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სწორედ ფინანსებზე ხელმისაწვდომობაა. მცირე, საშუალო და ახლად შექმნილი ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ აქტიურად მიმდინარეობს არაერთი ხელშემწყობი ინსტრუმენტის შემუშავება და დანერგვა, რომლის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მათი საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება და ბაზარზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, სამეწარმეო ინოვაციების განვითარება, ინოვაციური ეკოსისტემის გაუმჯობესება, ქართული კომპანიების ტექნოლოგიური მოდერნიზაცია და შედეგად, მწარმოებლურობის ზრდის ხელშეწყობა.

ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო პორტფელის ანალიზი. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სესხების დინამიკა დადებითი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, 2018 წელს საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა სეგმენტების ჭრილში მცირედით შეიცვალა, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების წილის ზრდით გამოიხატა. 2016-2018 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების ნაკადები მთლიან საკრედიტო პორტფელში **21%-დან 25%-მდე გაიზარდა.**

2018 წელს მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემულმა სესხებმა სულ 6,525 მლნ. ლარი შეადგინა, რაც **26%**-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს. 2017 წელს სესხების მოცულობა 5,176 ლარს უტოლდებოდა, რაც თავის მხრივ **30%**-ით აღემატებოდა 2016 წლის მაჩვენებელს. დადებითი ზრდის დინამიკა დაფიქსირდა გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებითაც. კერძოდ, 2016 წელს მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების ზრდის მაჩვენებელმა 20% შეადგინა. 2017 და 2018 წლებშიც დადებითი ზრდა დაფიქსირდა და შესაბამისად, 15% და 14% შეადგინა.

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კლება დაფიქსირდა. საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია შეინიშნებოდა როგორც უცხოური ვალუტით, ისე ლარით გაცემული სესხებისთვის. მაგალითად, 2016 წელს საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 12.5%-ს უტოლდებოდა, მაშინ როდესაც 2017 და 2018 წლებში საპროცენტო განაკვეთები შემცირდა და შესაბამისად, 12.3% და 12.1%-ს გაუტოლდა.

ერთის მხრივ, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებსა და მეორეს მხრივ, მსხვილ საწარმოებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა (ნაკადების მიხედვით) ბოლო 2 წლის განმავლობაში 2.6%-ის ფარგლებშია. აღნიშნულ პერიოდში არსებული მდგომარეობა განაპირობა სესხების ნაკადებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებამ როგორც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, ასევე, მსხვილი საწარმოებისათვის. შედეგად, 2017 და 2018 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 2.59%-ს და 2.61%-ს გაუტოლდა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი "ბიზნესის კეთების რისკები"

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი" (GCI) აფასებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს გარემოს შექმნისათვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. ინდექსი განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის. კვლევა კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც იმ ინსტიტუტების, პოლიტიკისა და სხვა ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს განსაზღვრავს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ასევე, ცალკე გამოყოფს ისეთ საკითხებს, რომელიც რესპონდენტთა შეფასებით კონკურენტუნარიანობის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს და ქვეყანაში ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებულ რისკებს აფასებს. ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება ეფუძნება ორგანიზაციის მკვლევართა ჯგუფის მიერ განხორციელებულ ყოველწლიურ „Executive Opinion Survey" გამოკითხვას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გამოკითხულ რესპონდენტებს იმ რისკების შეფასებას სთავაზობს, რომელიც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ბიზნესის კეთების პროცესში. 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, კონკურენტუნარიანობის ამაღლების კუთხით საქართველოს მთავარ გამოწვევად რჩებოდა არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინფლაცია, სამუშაო ძალის ეთიკისა და ცნობიერების, ისევე როგორც ინოვაციური შესაძლებლობების დაბალი დონე და სხვა. სწორედ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სახელდებოდა ბიზნესის კეთების მეორე მთავარ პრობლემად.

მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2018 წელს გამოაქვეყნა „ბიზნესის კეთების გლობალური რისკების ანგარიში“, სადაც რისკები 5 ძირითადი კატეგორიის მიხედვით არის წარმოდგენილი. კერძოდ, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნოლოგიური მიმართულებით იგი, თავის მხრივ, მოიცავს ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებულ 30 სახის რისკს, რომელიც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ქვეყანაში ბიზნესის კეთების პროცესში.

2018 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში გამოკითხულ რესპონდენტთა 52.3%-ის შეფასებით ყველაზე პრობლემატურად დასახელდა უმუშევრობა ან დასაქმებულთა კვალიფიკაციის არასრულად გამოყენება. გამოკითხულთა 36.4% პრობლემად ასახელებს სახელმწიფო მმართველობის შესაძლო პრობლემებს, ხოლო 34.1% პრობლემად მიიჩნევს სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებს, ასევე, არასწორ ურბანულ განვითარებას (29.5%), სოციალური უთანასწორობას (27.3%) და ა.შ.

ამდენად, **2018 და 2019 წლის კვლევის შედეგების საფუძველზე, საქართველოში ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობა აღარ სახელდება ბიზნესის კეთების მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად.**

მესამე სტრატეგიული მიმართულება: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

3.1. შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება

[3.1.1] **შრომის ბაზარზე არსებული საჭიროების იდენტიფიცირების და უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის გამოსავლენად,** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარდა სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა **რაოდენობრივი კვლევა,** რომლის მიზანია სამშენებლო ინდუსტრიაში ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე დამსაქმებელთა მოთხოვნის გამოვლენა, რომლის გათვალისწინება შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელს შეუწყობს სამშენებლო ინდუსტრიაში უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

კვლევის შედეგად, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, შესწავლილ იქნა სამშენებლო ინდუსტრიაში დასაქმების ზოგადი სტრუქტურა (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეების), დასაქმებულთა განაწილება ბიზნეს სექტორთან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობათა კლასიფიკატორში (NACE Rev.2) სამშენებლო ინდუსტრიის შესაბამისი საქმიანობების, პროფესიული ჯგუფების (დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ქვეჯგუფების დონეზე - ISCO2008), საწარმოთა ზომის, განათლების მიღწეული დონისა (საშუალო, პროფესიული და უმაღლესი) და სქესის მიხედვით; დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა უნარების შეფასება და დასაქმებულთა უნარების შესაბამისობის შესწავლა; უნარებთან მიმართებით არსებული მოთხოვნის ანალიზი და არსებული/პოტენციური ვაკანსიების გამოვლენა აპლიკანტთა უნარების დეფიციტისა და საჭიროებების შეფასება; ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეების შესწავლა; უნარების გათვალისწინებით ვაკანსიებზე შეთავაზებული ანაზღაურების შესწავლა პროფესიული ჯგუფების მიხედვით; ახალი კადრის აყვანისას საწარმოთა მიერ გამოყენებული ინფორმაციის წყაროების შესწავლა; დამსაქმებლის მიერ სწავლებასა და გადამზადებაზე გაწეული საქმიანობის შესწავლა დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი პროფესიული ჯგუფების მიხედვით.

აღნიშნული კვლევა საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე www.lmis.gov.ge.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა **შრომის ბაზრის თვისობრივი კვლევები.** აღნიშნული კვლევების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N665, 28.12.2018 წ.), რომლის ფარგლებში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და საჭირო კვალიფიკაციის გამოსავლენად ჩატარდა თვისობრივი კვლევები, რომლის დროსაც ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა 284 დამსაქმებელი.

[3.1.2] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N9, 28.01.2019წ.) ფარგლებში განხორციელდა **სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული განზრახვების იდენტიფიცირება** (პროფორიენტაცია). სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა ორ ეტაპად ქალაქ თბილისში და 6 რეგიონში (აჭარის, იმერეთის, კახეთის, სამეგრელო ზემო სვანეთის, შიდა ქართლის და ქვემო ქართლის რეგიონებში). სასწავლო პროცესში ჩაერთო 2 457 სამუშაოს მაძიებელი და სრული კურსი გაიარა 2,101 სამუშაოს მაძიებელმა.

[3.1.3] **„პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების", ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების'' სახელმწიფო პროგრამების დახვეწის/შემდგომი განვითარების ღონისძიების ფარგლებში** 2019 წელს სულ დასაქმებულია **1,415** სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის 98 შშმ პირი), აქედან, პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 755 სამუშაოს მაძიებელი (რომელთაგან, 319 სამუშაოს მაძიებელი გადამზადებული იყო წინა წელს); საშუამავლო მომსახურების ფარგლებში - 499; დასაქმების ფორუმების ფარგლებში - 83; სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში - 42 პირი; მხარდაჭერითი დასაქმების ფარგლებში - 33 შშმ პირი; სუბსიდირების კომპონენტში - 3 პირი.

2019 წლის განმავლობაში დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში, კერძოდ საშუამავლო მომსახურებაში ჩართული იყო 915 დამსაქმებელი, სუბსიდირების კომპონენტი - 3 დამსაქმებელი. ფორუმებში მონაწილეობა მიიღო 280 დამსაქმებელმა, თვისობრივ კვლევებში - 284 და სტაჟირების კომპონენტში მონაწილეობდა 25 დამსაქმებელი.

[3.1.4] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება დასაქმების შესაძლებლობებსა და სერვისებთან

დაკავშირებით. კერძოდ, „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2019 წელს **ჯგუფურ კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 1,793 სამუშაოს მაძიებელმა** (თბილისი - 82, რეგიონი - 1,711), ხოლო **ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 14,992 სამუშაოს მაძიებელმა** (თბილისი -2741, რეგიონი - 12,251).

[3.1.5] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციას **განეკუთვნება შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებული კვლევებისა და ანალიზის მომზადება**. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, სოციალურ პარტნიორებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში ხორციელდება კვლევითი პროექტები. ამასთან, სამინისტრო მეორად ინფორმაციაზე დაყრდნობით აანალიზებს შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციებს და ამზადებს შრომის ბაზრის ანალიზის წლიურ ანგარიშს.

2019 წელს, გასული წლების მსგავსად, მომზადდა შრომის ბაზრის ანალიზის წლიური ანგარიში. ანგარიშში წარმოდგენილია შრომის ბაზრის სტატისტიკის ანალიზი და დასაქმების ტენდენციები სექტორულ ჭრილში. კერძოდ, აღწერილია სამუშაო ძალის აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკის ცვლილება სხვადასხვა ჭრილში.

მასში ასევე მოცემულია შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის ანალიზი სახელმწიფო და კერძო დასაქმების სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიებზე დაყრდნობით. კერძოდ, ანგარიშში წარმოდგენილია 2018 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) და დასაქმების კერძო სააგენტოს - HR.GE ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა, სადაც ვაკანსიები დაჯგუფდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასაქმების სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO 2008) მიხედვით.

ანგარიში, თავის მხრივ, წარმოადგენს სამაგიდე კვლევას, რომელშიც აღწერილია სხვა კვლევების შედეგად მოცემული მიგნებები, ასევე მშენებლობის სექტორში უნარების საჭიროების მხრივ ფოკუს ჯგუფის შეხვედრაზე განხილული საკითხები.

ანგარიშის დასკვნითი ნაწილი ეთმობა შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამონათვალს. მომზადებული დოკუმენტი არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და განთავსებული შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე.

http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=c2626386-0422-4c0a-b756-759732a6d45b

3.2. მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment TNA)

[3.2.1] სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ETF-ის (European Training Foundation) მხარდაჭერით შეიმუშავა **ტრენინგების საჭიროებათა შეფასების (TNA)** კონცეფცია და

შესაბამისი მექანიზმები (კითხვარის ჩათვლით). ETF-ის მხარდაჭერით ჩატარდა მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება. პილოტური პროექტისთვის კვლევის ჩასატარებლად იდენტიფიცირებული იქნა ორი სექტორი (ქაღალდის წარმოების და ბეჭდვის, ასევე, სასტუმრო სექტორი), რომლის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 132-მა კომპანიამ და სასტუმრომ. აღნიშნული ორი სექტორის კვლევის შემდგომ ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა თბილისში და ბათუმში. დაიბეჭდა და გამოიცა 100-მდე ეგზემპლიარი კვლევის და ფოკუს ჯგუფის ანალიზის მასალა. ამასთან, TNA-ის განხორციელებისთვის, შიდა უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი ETF-ის და დაქირავებული კონსულტანტების მხრიდან.

[3.2.2] განხორციელდა TNA-ს შედეგების ანალიზი და ინსტრუმენტების გაუმჯობესება, შემუშავდა TNA კონცეფცია და შესაბამისი მექანიზმები. საანგარიშო პერიოდში, ETF-ის მოწვეულმა ექსპერტმა და სსიპ „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო **TNA-ზე დაფუძნებული პროექტის განხორციელება სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით**.

[3.2.3] **მცირე და საშუალო საწარმოების პროფესიული კადრების საჭიროების გამოსავლენად** საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატამ წარადგინა კვლევა სახელწოდებით „საქართველოში დევნილთა საკვანძო დასახლებებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საჭიროებები“, რომელიც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის (IHK) საპარტნიორო პროექტის მხარდაჭრით მომზადდა.

ანგარიში მოიცავს სამაგიდე და ექსპერიმენტულ, ხარისხობრივ და რაოდენობრივ კვლევას. აღნიშნული ანგარიში ასახავს მიკრო კვლევის შედეგებს, რომელიც განხორციელდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან (დევნილებთან), ასევე, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზებთან ინდივიდუალური და ჯგუფური გამოკითხვის მეთოდით. კვლევის მიზანია არსებული ბიზნესის გაფართოების, განვითარებისა და ახალი ბიზნესის წამოწყების ძირითადი საჭიროებების და შესაძლებლობების განსაზღვრა (თავად დევნილების განწყობების მიხედვით).

GIZ-ს მხარდაჭერით განხორციელდა შრომის ბაზრის საჭიროების კვლევა ტურიზმის სექტორში, რომლის საფუძველზეც მომზადდა პროფესიულ განათლებაში სწავლების დეტალური გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

3.3. უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე

[3.3.1] უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის პროცესის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

სამინისტროს მიერ შემუშავდა და დამტკიცდა **„განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა“** (მინისტრის ბრძანება N857, 28.06.2019წ.). სამოქმედო გეგმის აქტივობები ერთიანდება ორი ძირითადი მიზნის გარშემო: მეწარმეობის ეკოსისტემის შექმნა განათლების სისტემაში და სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება. აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინირების მიზნით, მინისტრის ბრძანებით, შექმნილია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შესულია ყველა ის ძირითადი დაინტერესებული მხარე, რომელიც უწყვეტი სამეწარმეო სწავლების პროცესშია ჩართული. სამუშაო ჯგუფის წევრებთან გამართულ შეხვედრაზე 2019 წლის ნოემბერში განხილული იქნა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების საკითხი.

[3.3.2] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დაიწყო **ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება**, რომლის ფარგლებშიც მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელებისა და ფორმალიზების მიზნით, შემუშავდა მთელი რიგი სამართლებრივი აქტები. მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელებაში, გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, ასევე შესაძლოა ჩაერთონ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც დააკმაყოფილებენ დადგენილ სტანდარტებს. უფლების მოპოვების შემდეგ, ორგანიზაცია უფლებამოსილია მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება განსაზღვრულ პრიორიტეტულ დარგებში. პროფესიული მომზადება-გადამზადების კომპონენტის დაფინანსების მექანიზმთან ერთად შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა, სადაც ნებისმიერი იურიდიული პირი ელექტრონულად ჩაერთვება პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების პროცესში.

2019 წლის მაისიდან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 26 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, პარტნიორ კომპანიასთან ერთად, ახორციელებს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს ტურიზმის, სამშენებლო, ბიზნესის ადმინისტრირების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. 2019 წელს, პროფესიული მომზადება-გადამზადების **82 პროგრამაზე ჩაირიცხა 751 მსმენელი.** პერიოდულად დაემატება შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი ახალი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები.

2019 წელს, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა 8 იურიდიულმა პირმა (27 პროგრამა).

[3.3.3] სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა პროფესიული სტუდენტისთვის **მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის დროს სავალდებულოა მეწარმეობის მოდულის გავლა.** ამ ეტაპზე დანერგილია 828 საგანმანათლებლო პროგრამა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ 91 დაწესებულებაში. ყველა პროგრამის სავალდებულო

კომპონენტს წარმოადგენს „მეწარმეობის“ მოდულის გავლა. 2019 წელს, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაასრულა 3,300-მდე პირმა, რომელთაც გაიარეს მეწარმეობის სავალდებულო მოდული.

[3.3.4] **განათლების სისტემაში LLEL-ის დანერგვის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სხდომა** გაიმართა 2019 წლის 26 ნოემბერს. შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს ინფორმაცია სამეწარმეო სწავლების მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ასევე, განხილულ იქნა მათი მოსაზრებები სამოქმედო გეგმის რიგ აქტივობებთან დაკავშირებით.

[3.3.5] სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი სერვისების დანერგვის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით, ა(ა)იპ „გარემო და განვითარება“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროსა და კალიფორნიის უნივერსიტეტის, დევისის, D-Lab-თან პარტნიორობით, განხორციელდა პროფესიული სასწავლებლების გაძლიერების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა **მეწარმეობის სწავლების ხელშეწყობას ახალი სასწავლო მოდულის განვითარებისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების დანერგვის გზით.** პროექტის ფარგლებში, კალიფორნიის უნივერსიტეტის (UC Davis) გამოცდილების საფუძველზე და ევროპული EntreComp კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში, გადაიხედა მეწარმეობის არსებული მოდული და დამხმარე მასალები, რომლებიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია პროექტული სწავლების მეთოდზე. გადამუშავებული მოდული ინიცირებულ იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. გარდა ამისა, დევისის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ორგანიზაციამ “Mindworks” სამ პროფესიულ სასწავლებელში განახორციელა პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიის პილოტირება. განხორციელდა პილოტირების შედეგების პრეზენტაცია, ასევე დაგეგმილია პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მიმართულებით მასშტაბის გაზრდა. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მეწარმეობის ექსპერტის უშუალო ჩართულობით და მასწავლებლების მხარდაჭერით, პარალელურად მიმდინარეობდა გაკვეთილებზე დაკვირვება, ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და მონაწილეების გამოკითხვა. ცალკე ჩატარდა ორდღიანი ვორქშოფი, ჯამში 21 სასწავლო დაწესებულების მეწარმეობის მასწავლებელთან, რომლის დროსაც მოხდა მოდულის კონცეფციის გაცნობა და უკუკავშირის მიღება.

ETF-ის და UNDP-ის მხარდაჭერით დაიგეგმა პროფესიულ სასწავლებლებში მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის მოდელის შექმნა. მოდელზე მუშაობა

განხორციელდა პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების, ევროპელი კოლეგებისა და ადგილობრივი ექპერტების ჩართულობით.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს განხორციელდა OECD-ის მიერ საქართველოს შეფასება „SME Policy Index - 2020"-ის ფარგლებში. შეფასების შედეგების თანახმად, მეწარმეობის სწავლების კომპონენტი 2016 წელთან შედარებით 2.70-დან 4.24 ნიშნულამდეა გაუმჯობესებული.

3.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

[3.4.1] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროს მიერ 2019 წელს შეიქმნა **პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭო**, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილია საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა და სექტორული ასოციაციების წარმომადგენლები. ასევე, კერძო სექტორისა და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები ჩართულები არიან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოში. გარდა ზემოაღნიშნული საბჭოებისა, მცირე და საშუალო მეწარმეები/გაერთიანებები წარმოდგენილები არიან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე სამეთვალყურეო საბჭოებში, რომელიც არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ორგანო.

[3.4.2] **პროფესიულ კვალიფიკაციათა შემუშავება/განვითარებაში მეწარმეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის (მეზო დონე) მიზნით,** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროს მიერ შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი", რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი საბჭოების ფორმირებას, რომლის ფუნქციაც იქნება საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება-განვითარებაში მონაწილეობა. ამ ეტაპზე, როგორც შემუშავებული, ასევე მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტები/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები მოიცავს 90-ზე მეტ კვალიფიკაციას. აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ დამსაქმებლები და გათვალისწინებულ იქნა მათი შეხედულებები და მოსაზრებები. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილია არაერთი ასოციაცია თუ დამსაქმებელთა წარმომადგენელი.

[3.4.3] **პროფესიული განათლების სისტემაში სამუშაოზე დაფუძნებული დუალური მიდგომით, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები** შემდეგი მიმართულებებით: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სამშენებლო, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ლოგისტიკა, სარკინიგზო ტრანსპორტი. 2019 წელს მომზადდა და

დაინერგა დუალური პროგრამები ინფორმაციული ტექნოლოგიების და ლოჯისტიკის მიმართულებით. პროცესები მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ. 2018 წლის მდგომარეობით, სისტემაში დანერგილი იყო 24 დუალური პროგრამა, ხოლო 2019 წლის ბოლოსათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ 16 დაწესებულებაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური) პრინციპით ხორციელდება 48 პროგრამა (აქედან 30-მდე უნიკალური პროგრამა). 2019 წლის საშემოდგომო მიღებიდან დუალურ პროგრამებზე სწავლის მსურველები ირიცხებიან მხოლოდ დაწესებულებისა და დამსაქმებლის მიერ ორგანიზებული კონკურსის საფუძველზე და მათ აღარ უწევთ პროფესიული ტესტირების გავლა, რამაც გაზარდა სტუდენტების შერჩევის პროცესში დამსაქმებელთა როლი. ასევე, დაიწყო მუშაობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მარეგულირებელ წესზე, რაც ხელს შეუწყობს დუალური სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ფორმალური განათლების ფარგლებში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, დაიწყო პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების დადასტურება/განხორციელების უფლების მინიჭება (საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილება და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N786 ბრძანება). დუალური მიდგომით პროგრამების განხორციელების უფლება დაუდასტურდა 6 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას 34 პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამაზე.

[3.4.4] საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე არსებული ფაბლაბების ქსელის გაძლიერება.** პროცესებს კოორდინაციას უწევდა სსიპ კოლეჯის „მოდუსის“ ბაზაზე არსებული ფაბლაბი - ფაბლაბ მოდუსი. პროფესიული ფაბლაბების ქსელის შექმნის ფარგლებში, ტექნოპარკთან თანამშრომლობით, მოხდა ლაბორატორიების მენეჯერების გადამზადება. ასევე, საქართველოს მასშტაბით, კოლეჯების ფაბლაბებში განხორციელდა სამუშაო ვიზიტები. ამასთან, რიგ კოლეჯებში აქტიურად ხორციელდებოდა სტუდენტების მიერ ფაბლაბების სპეციალური პროგრამების გამოყენებით სხვადასხვა პროტოტიპებისა და პროდუქტების მომზადება. ფაბლაბების ქსელის ფარგლებში 2020 წლისთვის დაგეგმილია როგორც კოლეჯების შიდა კონკურსების, ასევე კოლეჯებს შორის კონკურსების ორგანიზება.

აღსანიშნავია, რომ აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები კერძო სექტორის წარმომადგენლებთან სამრეწველო იდეების კონკურსების ორგანიზების პროცესების მხარდაჭერის მიზნით.

[3.4.5] **„პარტნიორობა ცოდნისთვის“ (Knowledge Partnership) ფორუმის განვითარება** მნიშვნელოვანია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიმართულებით მხარეებს შორის

ინფორმაციის გაცვლის მიზნით. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შემუშავებულია შესაბამისი პლატფორმა:

http://wbl.ge/view2/?fbclid=IwAR3irVBWcjm_10nrP4XJYIHbs3_rYdDfFfn2iWXGmiwFiQJVJD-pYZlNj6A#.

პლატფორმის ფორმატი ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში ჩართული მხარეების ერთ სივრცეში დაკავშირებას, რაც მხარს დაუჭერს პროცესების კოორდინაციას.

3.5. არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა

[3.5.1] დამტკიცდა **არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი** (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანება)**,** რომელიც უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობას. ასევე, დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირებისა და სტატუსის შეწყვეტის წესი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის №837/ი ბრძანება). არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის მიზნით, გამოცხადდა კონკურსი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №842/ი ბრძანება). კონკურსის შედეგად, შეირჩა არაფორმალური განათლების აღიარების 9 კონსულტანტი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 07 ოქტომბრის №931/ი ბრძანება არაფორმალური განათლების აღიარების სერტიფიცირებულ კონსულტანტთათვის სტატუსის მინიჭების შესახებ).

დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასური (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459 დადგენილება), და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების განაცხადის ფორმა (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2 ოქტომბრის №915/ი ბრძანება).

ამრიგად, არაფორმალური განათლების აღიარების პროცესისთვის საჭირო სამართლებრივი აქტები დამტკიცებულია და შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების თაობაზე განაცხადის გაკეთება. ამასთან, აღიარების მექანიზმების დანერგვის პარალელურად განხორციელდება პროცესის მონიტორინგი, რაც გამოავლენს რამდენად საჭიროა მექანიზმების დახვეწა და ცვლილება.

2019 წლის 18 ოქტომბერს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ჩატარდა შეხვედრა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვებით დაინტერესებულ დაწესებულებებთან. საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების შესახებ.

ცენტრის მიერ მიმდინარეობს მუშაობა გზამკვლევებზე, რომლის დასრულების შემდეგაც იქნება ერთიანი არაფორმალური განათლების აღიარების პროცესების სახელმძღვანელო, ასევე შეიქმნება აღიარების პროცესში ჩართული ყველა მხარის (მაძიებლის, კონსულტანტის, შეფასების კომისიისა და საგამოცდო კომისიის) გზამკვლევი. საგანმანათლებლო დაწესებულებებს უკვე შეუძლიათ არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების თაობაზე განაცხადის გაკეთება. აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან ხორციელდება არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვის მხარდაჭერის ქვეპროგრამა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს არაფორმალური განათლების აღიარების პროცესების მხარდაჭერა.

[3.5.2] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ახალი ტექნოლოგიების ლაბორატორიის - ჯეოლაბის (GeoLab) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, **არაფორმალური განათლების პროგრამების ხელშეწყობის მიზნით,** 2019 წლის მაისის თვიდან საქართველოს 9 რეგიონში დაიწყო IT გადამზადების კურსი გრაფიკულ დიზაინში, რომელიც გაგრძელდა 11 კვირის განმავლობაში.

2019 წელს, სააგენტომ საქართველოს 25 მაღალმთიან მუნიციპალიტეტში მეწარმეებისთვის ჩაატარა ტრენინგები ელექტრონულ წიგნიერებაში, რომელსაც ჯამში დაესწრო 300-მდე მეწარმე. 2019 წელს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პორტალზე დარეგისტრირდა 1,027 ოჯახი, რომელთაგან 638 სოციალურად დაუცველ ოჯახში უკვე განხორციელდა ინტერნეტის ინსტალაცია.

მიმდინარე წელს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ „შემოქმედებითმა საქართველომ“ გამართა მეწარმეობის სწავლებაზე ორიენტირებული სხვადასხვა ღონისძიება, არაფორმალური განათლების მეთოდებით. კერძოდ, თბილისსა და რეგიონებში ჩატარდა მეწარმეობის ტრენერთა გადამზადების 2 ღონისძიება და 2 სტუდენტური სამეწარმეო ტრენინგ-კონკურსი (ე.წ. ბუთქემფი), ამასთანავე, 3 სემინარ-კონკურსი შემოქმედებითი იდეების მქონე ადამიანებისთვის.

3.6. მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა

[3.6.1] **სახელმწიფო პროგრამების ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის ფარგლებში** 2019 წელს 12 ბენეფიციარმა ისარგებლა „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტით. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის

კომპონენტში შემავალი ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტი გულისხმობს 10,000 ლარის მოცულობით თანდაფინანსებას პროგრამაში ჩართულ თითოეულ ბენეფიციარზე, ხოლო თანადაფინანსებას/ანაზღაურებას ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული/მისაღები მხოლოდ შემდეგი სახის მომსახურებაზე ბენეფიციარის მიერ გაწეული/გასაწევი ხარჯი:

1. საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება, გარდა წარმოებისთვის საჭირო ძირითადი საშუალებების (დანადგარ(ებ)ის/ აღჭურვილობის) მონტაჟის ან/და ძირითადი და საბრუნავი საშუალებების მოხმარების (გამოყენების) ინსტრუქციებისთვის გაწეული მომსახურებისა;
2. ტრენინგები და კონსულტაციები კომპანიის ან/და წარმოების მართვის, პროდუქტიულობისა და წარმოების მოცულობის ზრდის, ოპერაციების ოპტიმიზაციის, პროდუქციის გაყიდვებისა და მარკეტინგის, კვლევა-განვითარების, ფინანსური ანგარიშგებისა და იურიდიული მიმართულებით;
3. წარმოების პროცესში ხარისხის მართვისა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;
4. ბენეფიციარისთვის ტექნიკური დახმარების სქემების შემუშავება და განხორციელება;
5. საწარმოო პროცესში მოწინავე საერთაშორისო და ადგილობრივი გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა.

[3.6.2] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ **პარტნიორებთან თანამშრომლობით პრე-აქსელერატორის პროგრამა** დაიწყო, ტრენინგები კი ევროპის ბაზარზე ლიდერმა სტარტაპ აქსელერატორმა კომპანიებმა STARTUP WISE GUYS და CIVITTA-მ ჩაატარეს. განხორციელდა აქსელერატორის პროგრამის (საერთაშორისო აქსელერატორის საქართველოში შემოყვანა) ტექნიკური დავალებისთვის შესადგენად საჭირო ბაზრის კვლევა.

საქარველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, რეგიონული მეწარმე სუბიექტების მოთხოვნის შესაბამისად, სურსათის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს, სხვადასხვა ტრენერების და სამინისტროების დახმარებით, რეგიონულ მეწარმეებს ჩაუტარდათ **ტრენინგები ევროკავშირის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობაში მოყვანის** შესახებ.

[3.6.3] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში **EFQM-ის წარმატების მოდელის** დანერგვა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობით დაიწყო. EFQM-ის მოდელი ეფუძნება ევროპულ ფასეულობებს, რომლის მიზანია დაეხმაროს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს, მათ შორის, საჯარო და კერძო დაწესებულებებს გააუმჯობესონ

საკუთარი საქმიანობა EFQM-ის მოდელის გამოყენებით, რომელშიც ინტეგრირებულია ISO საერთაშორისო სტანდარტების ხარისხობრივი კომპონენტები. ხარისხის მართვის ევროპულ ფონდში გაწევრიანებულია 50 სხვადასხვა სექტორში მომუშავე 30 000-ზე მეტი ევროპული ორგანიზაცია, რომლებიც წარმატებით იყენებენ მოცემულ მოდელს საკუთარ საქმიანობაში.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ დანერგა EFQM, იგი აქტიურად ახდენს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის სტანდარტების პოპულარიზაციას, როგორც ჩატარებულ ფორუმებსა და გამოფენებზე, ასევე პალატის DCFTA საინფორმაციო ცენტრებისა და რეგიონული პალატების მეშვეობით.

3.7. საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ვებ-გვერდზე

[3.7.1] მეწარმეობის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში სსიპ „აწარმოე საქართველოში" ახორციელებს **საგანმანათლებლო მასალების, ბიზნეს-ლიტერატურის შეგროვებას და განთავსებას სააგენტოს ვებ-გვერდზე.** სააგენტომ, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის" (G4G) ფარგლებში, კომპანია „მაინდვორსთან" ერთად შეიმუშავა ანიმირებული ონლაინ ტრენინგი ექსპორტის საბაზისო საკითხებზე, რომელიც აერთიანებს ექსპორტთან დაკავშირებულ 10 მოდულს. ონლაინ ტრენინგი დისტანციური სწავლების კარგ შესაძლებლობას იძლევა ექსპორტით დაინტერესებული პირებისთვის. ამასთან, უადვილებს რეგიონში მცხოვრებ პირს დისტანციურად, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად დაეუფლოს ცოდნას და მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოდულები განთავსებულია „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს საიტზე » *დირექტორიაში „ექსპორტი"* » *ბლოკში „ონლაინ ტრენინგი".* ონლაინ ტრენინგებს თან ახლავს PDF საკითხავი ვერსია. ბმული: http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/export-management-fundamentals.

3.8. მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება

[3.8.1] სსიპ „აწარმოე საქართველოში" **მეწარმეებს სხვადასხვა სერვისებით, მათ შორის, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული სივრცით უზრუნველყოფას სთავაზობს.** კერძოდ, სააგენტოს მომსახურების ცენტრი უზრუნველყოფილია სხვადასხვა რესურსით, რომელიც მეწარმე სუბიექტებს და ეკონომიკური საქმიანობით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს უსასყიდლოდ ისარგებლონ სერვის ცენტრის ინფრასტრუქტურით, როგორიცაა წვდომა ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე, ბიბლიოთეკით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს ლიტერატურას და ასევე, შეხვედრების/საკონფერენციო სივრცით.

აღნიშნული ინფრასტრუქტურა გამოიყენება ლექციებისა და სემინარების მოსაწყობად, როგორც მეწარმეებისთვის, ისე სკოლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის.

3.9. ქალთა მეწარმეობის წახალისება

მეწარმე ქალების მხარდაჭერა და მათი ეკონომიკური გაძლიერება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. საქართველოს მთავრობა, დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ახორციელებს არაერთ პროგრამას, რომლის მიზანია ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობა. აღნიშნული პროგრამები ქალ მეწარმეებს სთავაზობს ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს, როგორიცაა საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საწარმოების მდგრად განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას; ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის განკუთვნილი სპეციფიკური, მდგრადი ფინანსური პროდუქტის შექმნას; ქალების მფლობელობაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საკონსულტაციო სერვისებსა და ნოუ-ჰაუზე წვდომაში დახმარების აღმოჩენას და სხვ.

[3.9.1] **სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით,** საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 71 ბენეფიციარიდან 15 ქალი ბენეფიციარი იყო. თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში 70 გამარჯვებული სტარტაპიდან 20 სტარტაპის დამფუძნებელი იყო ქალი.

„აწარმოე საქართველოში“ სააგენტო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტში, 2015 წლიდან დღემდე, ახორციელებს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამას. პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია ბიზნეს პროექტის შეფასების კრიტერიუმები, რომლის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ქალის მიერ ბიზნესის წამოწყება ან არსებული ბიზნესის გაფართოება. ამავე პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია, რომ დაფინანსებული ბიზნესების 40% უნდა იყოს ქალი მეწარმეების მიერ განხორციელებული ბიზნეს პროექტი. 2019 წლის მდგომარეობით, მიკრო საგრანტო პროგრამის ფარგლებში შედეგები შემდეგია: ჯამში დაფინანსებულია 9,380 ბენეფიციარი, რომლიდანაც 3,783 (40.33%) ქალი ბენეფიციარი წარმოადგენს.

[3.9.2] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ქალთა მეწარმეობის განვითარების და საჭიროებათა იდენტიფიცირების მიზნით, კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოსთან **შექმნილია პლატფორმა - ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭო, რომლის** მიზანია ქალთა მეწარმეობის განვითარების კუთხით პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ქვესაბჭო საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის შესაბამისად ატარებდა ქვესაბჭოს სხდომებს. 2019 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით

გაიმართა ქალთა მეწარმეობის ქვე-საბჭოს შემაჯამებელი სხდომა. აღნიშნულ სხდომაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უწყებებისა და ქალთა ასოციაციების წარმომადგენლებმა. ქალთა მეწარმეობის ქვე-საბჭოს სხდომის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით სახელმწიფო აქტივობების თაობაზე. სხდომაზე, ასევე, მიმოხილული იქნა ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვე-საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობა, განისაზღვრა სამომავლო აქტივობები და მომზადდა რეკომენდაციები.

[3.9.3] **ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის და ბიზნეს საქმიანობაში ქალების ჩართულობის და** [3.9.4] **მეწარმე ქალთა ეროვნულ ბიზნეს-ფორუმის ორგანიზების მიზნით**, 2019 წლის 8 მარტს, ქ. ბათუმში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით გაიმართა „მეწარმე ქალთა ეროვნული ბიზნეს ფორუმი.“ მასში სხვადასხვა რეგიონიდან 250-მდე ქალი მეწარმე მონაწილეობდა.

[3.9.5] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ქ. ბათუმში ორგანიზებულ ფორუმზე **ქალებისათვის ტრენინგები ჩატარდა ბრენდინგის, ემოციური ინტელექტის, ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობების და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის საკითხებზე.**

[3.9.6] **ინოვაციების სფეროში ქალთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ფარგლებში**, 2019 წლის მარტში, 4 აფხაზ მეწარმე ქალს თბილისის ტექნოპარკში მიეწოდა ინფორმაცია GITA-ს სერვისებისა და პროგრამების შესახებ. „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის“ ფარგლებში ზუგდიდის ტექნოპარკში გაიმართა ორეტაპიანი სწავლება-ტრენინგი. პირველ ეტაპზე მსმენელები გამოიმუშავებდნენ გადაწყვეტილების მიღების, თვითორგანიზების, მართვის, დაგეგმვის, ანალიზის და სხვა სამუშაო უნარებს. მეორე ეტაპზე თავად მონაწილეების მიერ მოხდა ბიზნესის წამოწყების (ბიზნეს-გეგმა) და საინვესტიციო პროექტების მომზადება. მსმენელების მიერ შემუშავებული პროექტებიდან საუკეთესო პროექტებმა მიიღეს დაფინანსება. დამსწრეებს შორის 10 დევნილი ქალი იყო აფხაზეთიდან.

თბილისის ტექნოპარკის ფაბლაბის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგების ციკლი შვიდი მიმართულებით: (1) როგორ შევქმნათ ინოვაციური პროდუქტი; (2) Ebay & Etsy - საერთაშიროსო ონლაინ პლატფორმები; (3) საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორია; (4) Arduino; (5) Coreldraw; (6) Fusion 360; (7) ტრენერთა გადასამზადებელი ტრენინგი Lego & LittleBits. აღნიშნულ ტრენინგებში ჯამში მონაწილეობა მიიღო 68 ადამიანმა, აქედან 31 მდედრობითი სქესის წარმომადგენელმა. 2019 წელს, რეგიონალური ცენტრების ორგანიზებით (ზუგდიდი, რუხი, ახმეტა, თელავი) ჩატარდა 91 ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 1,512 მონაწილე.

[3.9.7] **ქალი მეწარმეების წახალისების მიზნით სააგენტომ** „აწარმოე საქართვლოში“ 10 ქალი მცირე მეწარმე დააფინანსა ჰოლანდიაში გასამართ საერთაშორისო ღონისძიებაზე „Women in Wine expo event“ (ქ. როტერდამი).

3.10. მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისება

[3.10.1] ნარჩენების მართვის კოდექსი ითვალისწინებს **მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ (EPR))** პრინციპის ქვეყანაში ამოქმედებას. აღნიშნული გულისხმობს, რომ პროდუქტის უშუალო მწარმოებელმა და ბაზარზე განმათავსებელმა, უნდა იზრუნონ პროდუქტისთვის იმგვარი ფორმის მიცემაზე, რომელიც შეამცირებს ნარჩენებს და შესაბამისად, გარემოზე უარყოფით გავლენას. ამასთანავე, პროდუქტის მწარმოებელს/ბაზარზე განმთავსებელს, მათ შორის, იმპორტიორს ეკისრება გამოყენებული პროდუქციისაგან წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების, სეპარაციის და დამუშავების პასუხისმგებლობა, მათი შემდგომი აღდგენის მიზნით. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ძირითადად, შემდეგი ექვსი სახის ნარჩენების ნაკადებზეა მიმართული: ბატარეები, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები, ზეთები, საბურავები, შესაფუთი მასალები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების შემდეგი პროექტები - “შეფუთვის ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ”; „ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ; „ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ; ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; „საბურავების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვის მიზნით, უმნიშვნელოვანესია პროცესს დაქვემდებარებული სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება. 2019 წლის განმავლობაში გაიმართა საჯარო ფორუმები მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებასთან დაკავშირებით (კანონქვემდებარე აქტების პროექტების პრეზენტაცია). პრეზენტაციებს დაესწრო ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სავაჭრო პალატების, ბიზნეს ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელები.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სექტორული, საკონსულტაციო შეხვედრები მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტების პროექტების განხილვის მიზნით.

[3.10.2] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, **ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული სისტემის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნით კონსულტაციები გაეწია მეწარმეებს ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული სისტემის მუშაობის**

შესახებ, რისთვისაც აღნიშნულთან მიმართებით ჩატარდა შესაბამისი შეხვედრები მეწარმეებთან სხვადასხვა ფორმატში ინდივიდუალური კონსულტაციების ჩათვლით.

[3.10.3] სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ ახორციელებს **გარემოსდაცვითი მმართველის სასწავლო კურსს,** რომლის მიზანია კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით კომპანიებისთვის შესაბამისი კადრის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილე შეძლებს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადებასა და განახლებას; კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების ორგანიზებას და ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე თვითმონიტორინგისა და შიდა კონტროლის განხორციელებას.

2019 წლის განმავლობაში, ჩატარდა გარემოსდაცვითი მმართველის 5 კურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 70-მა მსმენელმა. კურსების ჩატარების შედეგად გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების გავლის მსურველებისგან მიღებული მოთხოვნის 100% დაკმაყოფილდა.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

მესამე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 10 პრიორიტეტულ ღონისძიებას და ჯამში, 35 ქმედებას. 2019 წელს განხორციელდა 10-ვე პრიორიტეტული ღონისძიება და 35-ვე ქმედება.

2019 წელს შესრულდა მესამე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ *განხორციელდა შრომის ბაზრის თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევები;*
- ✓ *მომზადდა შრომის ბაზრის წლიური ანალიზი;*
- ✓ *გადამზადდა პროგრამით მოსარგებლე სამუშაოს მაძიებლები;*
- ✓ *სწავლების პროცესში ჩართულ იქნა დამსაქმებლები;*
- ✓ *გადამზადდა და დასაქმდნენ პროგრამის ბენეფიციარები, მათ შორის, მოწყვლადი ჯგუფებიდან;*
- ✓ *განათლების სისტემაში LLEL-ის დანერგვის მიზნით განხორციელდა შესაბამისი სამოქმედო გეგმის განახლება;*
- ✓ *მომზადდა განათლების სისტემაში LLEL-ის განხორციელების ანგარიში;*
- ✓ *პროფესიულმა სტუდენტებმა გაიარეს მეწარმეობის მოდული;*
- ✓ *ჩატარდა LLEL-ის დანერგვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2 სხდომა;*

- ✓ *სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში პილოტირებულია პროექტებზე დაფუძნებული სწავლება;*
- ✓ *პროფესიულ განათლების საბჭოში და თემატურ ჯგუფებში ჩართულია მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები;*
- ✓ *მომზადდა დარგობრივ საბჭოების ანგარიშები და ოქმები;*
- ✓ *დანერგილია ახალი პროგრამა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით;*
- ✓ *ორგანიზებულია სამრეწველო იდეების კონკურსები;*
- ✓ *შეიქმნა ფორუმი/პლატფორმა მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით;*
- ✓ *თბილისსა და რეგიონებში ინოვაციების ცენტრების ბაზაზე ჩატარებულია სასწავლო პროგრამები;*
- ✓ *განხორციელდა აქტივობები EFQM – წარმატების მოდელის პოპულარიზაციის მიზნით;*
- ✓ *ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო მასალები და ბიზნეს-ლიტერატურა;*
- ✓ *მეწარმეების მომსახურების ცენტრში მეწარმეთათვის გაწეული იქნა სერვისები და კონსულტაციები;*
- ✓ *ჩატარდა ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭოს სხდომები;*
- ✓ *ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ღონისძიებები;*
- ✓ *გაიმართა მეწარმე ქალთა ეროვნული ბიზნეს-ფორუმები;*
- ✓ *მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვის მიზნით პროცესს დაქვემდებარებული სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერების და ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა შეხვედრები;*
- ✓ *ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნით მეწარმეებისთვის ჩატარდა კონსულტაციები და გაიმართა შეხვედრები;*
- ✓ *დაკმაყოფილდა გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების გავლის მსურველებისგან მიღებული მოთხოვნები.*

მესამე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად

დასაქმების ზრდა და სტრუქტურული უმუშევრობის შემცირება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ამასთან, კერძო სექტორის შემდგომი განვითარება უმუშევრობის შემცირების და დასაქმების ზრდის ყველაზე

ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, შრომის ბაზრის მოთხოვნის ტენდენციების შესწავლა და მის წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენა. ამასთან, უმნიშვნელოვანესია სწორი პროფესიული და საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა, რომელსაც გადამწყვეტი როლი უკავია შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსის და სტრუქტურული უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით. პროფესიული განათლების ხარისხის ზრდა და ხელმისაწვდომობა კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მიმზიდველობას, რაც პიროვნული და კარიერული ზრდის მნიშვნელოვანი გზა და დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი "ბიზნესის კეთების რისკები"

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი" აფასებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ასევე ისეთ საკითხებს, რომელიც რესპონდენტთა შეფასებით კონკურენტუნარიანობის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში ბიზნესის კეთების თვალსაზრისით. ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება ეფუძნება ორგანიზაციის მკვლევართა ჯგუფის მიერ განხორციელებულ ყოველწლიურ „Executive Opinion Survey" გამოკითხვას.

2018 წლის ანგარიშის თანახმად, წინა წლების ანალოგიურად, საქართველოში გამოკითხულ რესპონდენტთა მხრიდან, ყველაზე დიდ პრობლემად, კვლავ უმუშევრობა ან დასაქმებულთა კვალიფიკაციის არასრულად გამოყენება სახელდება.

ქალთა მიერ დაფუძნებული საწარმოები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვე-საბჭოს ფარგლებში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდასაჭერად მომზადდა **კვლევა ,,ქალთა სამეწარმეო აქტივობა თანამედროვე საქართველოში: რეალობა და პერსპექტივები".** კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნა რიგი საკითხები, როგორიცაა ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობები და ხელშემწყობი პროგრამები, ქალთა სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის ტენდენციები, ქალთა შრომითი და სამეწარმეო აქტიურობის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები, ქალთა მეწარმეობაში არსებული პრობლემები და გამოწვევები. კვლევის ფარგლებში შემუშავდა შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები.

კვლევის მიხედვით, 2018 წლის მდგომარეობით, ქალთა მიერ დაფუძნებული საწარმოების რაოდენობამ 61,544 ერთეული შეადგინა. მათ შორის, ფიზიკური პირი -

39,955; შპს - 21,415; სპს - 133; კომანდიტური საზოგადოება - 13 და კოოპერატივი - 10. ქალთა მიერ დაფუძნებული საწარმოები რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისი - 26,870 (43.7%); იმერეთი - 8,419 (13.7%); აჭარა - 5,746 (9.3%); სამეგრელო-ზემო სვანეთი - 5,126 (8.3%), ქვემო ქართლი - 3,782 (6.1%); კახეთი - 3, 693 (6%) და შიდა ქართლი - 3, 168 (5,1%).

პროფესიული განათლება და დასაქმება

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების ორიენტაციის, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობისა და მობილურობის ამაღლების საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიზანია შექმნას ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ამასთან, ხელი შეუწყოს ინდივიდის პროფესიულ განვითარებას, მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები. ხელი შეუწყოს პირის დასაქმებას, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა თუ თვითდასაქმებას. ასევე, პროფესიული განათლების სფეროში შექმნას სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემა და ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობას.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა. 2013 წლიდან, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. დაარსდა ახალი კოლეჯები/ფილიალები, განახლდა არსებული კოლეჯების ინფრასტრუქტურა; დაინერგა ინკლუზიური განათლების მიდგომები - შეიქმნა და ადაპტირდა საგანმანათლებლო რესურსები შშმ და სსსმ პირებისათვის, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის; დაიწყო მოკლევადიანი პროფესიული კურსების განხორციელება სამუშაოს მაძიებელთათვის.

აღსანიშნავია, რომ პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სტატისტიკა, ბოლო წლების ტენდენციის მიხედვით, კლებადია. 2018 წელს, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობამ 7,774 შეადგინა. 2017 წელს, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა კი 10,821-ს გაუტოლდა. სტუდენტთა რაოდენობის შემცირება განაპირობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმამ, რაც კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვას გულისხმობს. მოდულური მიდგომის თანახმად, როგორც პროგრამის შემუშავება, ასევე უშუალოდ სწავლება, ეფუძნება თემებს (ერთი თემა შესაძლოა რამდენიმე საგნის კომბინაციასაც კი წარმოადგენდეს). მოდულურ პროგრამებზე სწავლების დანერგვის საფუძველზე პროფესიულ პროგრამებზე სწავლის პერიოდი გახანგრძლივდა და შესაბამისად,

პროფესიულ საგანმანათლებო დაწესებულებებს საგნობრივ პროგრამებთან შედარებით ნაკლები სტუდენტების მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ბაზარზე მათი წარმატებული ინტეგრაციაა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ რეგულარულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. Tracer Study).

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების რეფორმის კვალდაკვალ ყოველწლიურად მზარდია პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. 2019 წელს, ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების მიხედვით, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელმა 2018 წელს 62% შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 2%-ული პუნქტით აღემატება, ხოლო 2013 წელთან შედარებით დასაქმებულთა მაჩვენებელი 20%-ული პუნქტით არის გაზრდილი.

დიაგრამა 2. პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი



წყარო: პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study)

მეოთხე სტრატეგიული მიმართულება: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია

4.1. DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება

[4.1.1] **DCFTA-ის პერსპექტივების და მისი მოთხოვნების შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით EPRC-თან გაფორმებული მემორანდუმის** ფარგლებში 3000-მდე მოქალაქეს გაეწია კონსულტაცია 5 რეგიონის 50-ზე მეტ მუნიციპალიტეტში. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა გაიარეს კონსულტაცია 5 რეგიონში. მომზადდა და გავრცელდა 3 საინფორმაციო კლიპი. 5 რადიო ჩართვა მიეძღვნა DCFTA-ს და SME-ს საკითხებს რადიო ათინათში, რომელიც მოიცავს დასავლეთ საქართველოს, ოკუპირებული აფხაზეთის ჩათვლით.

[4.1.2] **ცნობადობის გაზრდის ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით** საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, DCFTA-ის შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად საანგარიშო პერიოდში გაიმართა 48 სატელეფონო კონსულტაცია, 68 საველე შეხვედრა - დაესწრო 480 მეწარმე, 29 ტრენინგი - დაესწრო 771 მეწარმე; 6 რეგიონული შეხვედრა - დაესწრო 192 მეწარმე; მიღწევების მოხსენების კონფერენცია - დაესწრო 200-ზე მეტი მეწარმე და 30-ზე მეტი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი.

[4.1.3] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ განხორციელდა **DCFTA საინფორმაციო ცენტრების ქსელის გაფართოების ღონისძიებები**, კერძოდ, მოცემულ ეტაპზე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის სისტემაში ფუნქციონირებს 4 საინფორმაციო ცენტრი - გორში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

2020 წელს, პალატა გეგმავს გაფართოებას, რაც გულისხმობს ახალ რეგიონებში სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლობების გახსნას, სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება DCFTA საინფორმაციო ცენტრები.

[4.1.4] საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ TWINNING პროექტის ფარგლებში 2019 წლის 21 თებერვალს გორის მუნიციპალიტეტში ჩაატარა ცნობადობის ამაღლების სემინარი ადგილობრივი მეწარმეებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის, რომლის ფარგლებშიც **მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის (მეტროლოგია, სტანდარტიზაცია, DCFTA - ბენეფიტები და გამოწვევები) სერვისებთან დაკავშირებით.** 2019 წლის 5 მარტს კი სააგენტომ უმასპინძლა ღია კარის დღეს. აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენდა უნიკალურ შესაძლებლობას ბიზნესის, აკადემიური და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისათვის ადგილზე გაცნობოდნენ სააგენტოს სერვისებს, მიეღოთ თეორიული და პრაქტიკული ინფორმაცია სააგენტოს ექსპერტებისაგან სხვადასხვა სფეროში.

საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ - აკრედიტაციის ცენტრმა აკრედიტაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩაატარა შეხვედრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან, რომლის ფარგლებშიც შედგა დიალოგი ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის (აკრედიტაციიის კუთხით) დახმარებით ექსპორტის ხელშესაწყობად აკრედიტებული პირის როლსა და ჩართულობაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ტექნიკური ბარიერების გადალახვას.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა აკრედიტაციის ეროვნული საბჭოს ორი სხდომა. პირველ სხდომაში მონაწილება მიიღეს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებმა, რომელთა ინტერესიც დაკავშირებულია აკრედიტაციის სისტემისა და აკრედიტაციის საქმიანობასთან, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სხვადასხვა სფეროს ასოციაციის წევრები, მეწარმე სუბიექტები (აკრედიტებული პირების მომხმარებლები), საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო. მოხდა მოწვეული პირების ინფორმირება EA-ს (ევროპული აკრედიტაცია) მიერ აკრედიტაციის აღიარების საკითხზე; ასევე ინფორმაცია მიეწოდათ აკრედიტებულ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებს - ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრის და მათი საქმიანობის შესახებ და სავალდებულო ტექ. დათვალიერების თაობაზე. აკრედიტაციის ეროვნული საბჭოს მეორე სხდომა ჩატარდა 2019 წლის 13 დეკემბერს, რომელიც შედგა აკრედიტაციის საბჭოს განახლებული შემადგენლობით (აკრედიტაციის საბჭო შედგება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებისაგან, მათ შორის კერძო სექტორი; სახელმწიფო უწყებები; შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები; სავაჭრო-სამრეწველო პალატა; მარეგულირებელი კომისიები და სხვა.).

აკრედიტაციის ცენტრის ტექნიკური შემფასებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი განახლებული სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის გაცნობის მიზნით. სტანდარტის განახლება მოხდა 2017 წელს. განახლებამდე აკრედიტაცია გაიცემოდა სტანდარტის 2010 წლის ვერსიის შესაბამისად. ევროპული აკრედიტაციის (EA) რეკომენდაციით ყველა საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორია 2020 წლის 1 დეკემბრამდე გადასული უნდა იყოს ახალ სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტზე. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა აკრედიტაციის ცენტრის ტექნიკური შემფასებლების კვალიფიკაციის ამაღლება იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ლაბორატორიებში ახალი სტანდარტის დანერგვას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და ეფექტურად განხორციელდეს ზემოაღნიშნულ ვადებში ახალ სტანდარტზე გადასვლა.

გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) მიერ განხორციელებული პროექტის „აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების რეგიონალური სინერგიის გამოყენება“-ს ფარგლებში, გერმანელი სპეციალისტის მიერ, ჩატარდა ტრენინგი აკრედიტაციის

ცენტრის წამყვანი და ტექნიკური შემფასებლებისათვის განახლებული ისო/იეკ 17025:2017 სტანდარტის, კონკრეტულად კი სტანდარტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების წესისა და რისკის შეფასების საკითხებზე. მოხდა აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლების კვალიფიკაციის ამაღლება, რაც შემდგომ ხელს შეუწყობს ამ კონკრეტულ ნაწილში სტანდარტის მოთხოვნების ეფექტურ დანერგვას ლაბორატორიებში.

2019 წელს ტრენინგი ასევე ჩატარდა სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013 სტანდარტისა და საქართველოს მთავრობის №511 დადგენილებით განსაზღვრულ სფეროებში, იმ აკრედიტებული ორგანოების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სამუშაოებს. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება და მათი უნარების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

აკრედიტაციის ცენტრში 2019 წლის 20 დეკემბერს დაიწყო ტვინინგის პროექტი - საქართველოს აკრედიტაციის სისტემის გაძლიერება ევროკავშირის ტექნიკურ რეგლამენტებზე ფოკუსირებით. პროექტში აკრედიტაციის ცენტრის პარტნიორებია იტალიის აკრედიტაციის ცენტრი (ACCREDIA) და გერმანიის აკრედიტაციის ცენტრი (DAkkS). პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს ორ წელს და მის ფარგლებში იგეგმება სხვადასხვა ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება, აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით და ასევე სხვადსხვა სტანდარტებზე. ღონისძიებებში ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მეწარმეები.

აკრედიტაციის ცენტრს მიენიჭა აღიარება სამედიცინო ლაბორატორიების სფეროში და ამასთან გაუგრძელდა ევროპული აკრედიტაციის აღიარება 2022 წლის ნოემბრამდე. აკრედიტაციის ცენტრი, ევროპული აკრედიტაციის ორმხრივი შეთანხმების (EA-BLA) ხელმომწერია 2017 წლიდან, რაც გულისხმობს აკრედიტაციის ცენტრის აღიარებას შეთანხმებით მოცულ სფეროებში. ევროპული აკრედიტაციის აღიარების შენარჩუნების მიზნით შეთანხმება ითვალისწინებს აკრედიტაციის ორგანოების პერიოდულ შეფასებას ISO/IEC 17011 საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაზე.

[4.1.5] მეტროლოგიის სფეროში „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ 2018 წლის 3-4 ოქტომბერს, მიღწეული იქნა საერთაშორისო აღიარება შემდეგი მიმართულებებით - ტენიანობა, ტემპერატურა, სიგრძე, მასა, მცირე მოცულობა, ელექტრობა, რადიაციული გაზომვები, წნევა. 2019 წლის ივნისში სააგენტოს დაემატა 2 ახალი CMC ჩანაწერი დოზიმეტრიული გაზომვების სფეროში, რაც საერთაშორისო დონეზე აღიარებული კიდევ ერთი მიმართულებაა. აღნიშნულით მნიშვნელოვნად გაიზარდა **მეწარმეებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუციების მიერ შეთავაზებული სერვისების დიაპაზონი და სფეროები.**

მეტროლოგიის სფეროში მიღწეული შედეგების - მომსახურების სფეროების და ასევე, საერთაშორისო აღიარებული სფეროების მნიშვნელოვანი გაფართოვების შედეგად, საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო რეგიონულ დონეზე სერვისების მიმწოდებლის ფუნქციას შეიძენა. შესაბამისად, სააგენტო მომსახურებას უწევს დამკვეთებს სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან (აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან) შემდეგ სფეროებში: ტემპერატურა, მასა, ტენიანობა, მცირე მოცულობა, წნევა.

საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბიზნესისათვის. 2019 წლის მდგომარეობით, სულ საქართველოს სტანდარტად მიღებულია 15,000-მდე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი, აქედან ISO და IEC – 6,234 სტანდარტია, ხოლო ევროპული CEN/CENELC - 8,612 სტანდარტი, მათ შორის ე.წ. ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტები, რომლებიც მნიშვნელოვანია DCFTA TBT ნაწილის დანართებით გათვალისწინებული კანონმდებლობის დაახლოების პროცესისთვის. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოს ქართულენოვანი სტანდარტების რაოდენობა 123-ს შეადგენს.

[4.1.6] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით და ევროპული პროექტის - „ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობა“ - მხარდაჭერით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შესახებ კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ფარგლებში, 2019 წლის 18 იანვარს, ქ. რუსთავში, გაიმართა რეგიონალური სამუშაო შეხვედრა ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებთან მრგვალი მაგიდის ფორმატით, რომელიც DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და **თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებიდან გამომდინარე სარგებელსა და შესაძლებლობებს მიეძღვნა.** შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო კერძო სექტორისა და მედიის 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა.

[4.1.7] **მუდმივად მიმდინარეობს ვებგვერდის - www.dcfta.gov.ge განახლება.** კერძოდ, საიტზე განახლდა ვაჭრობის სტატისტიკა; შენიშვნებისთვის გასაჯაროვდა საკანონმდებლო აქტების პროექტები სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების და ვაჭრობაში დაცვითი ზომების სფეროებში; საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, ინფორმაცია საკანონმდებლო აქტების პროექტების შესახებ ვებგვერდზე ქვეყნდება სიახლეების სახითაც; ვებგვერდზე ინტეგრირებულ კალენდარში განთავსდა DCFTA-ისთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. **2019 წლის განმავლობაში, ვებგვერდის ვიზიტორების რაოდენობამ 20,020 შეადგინა.** საქართველოს გარდა, ვებგვერდს ყველაზე ხშირად სტუმრობენ ამერიკიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან და ბელგიიდან.

4.2. მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში

[4.2.1] **მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის პოტენციალის ანალიზის მიზნით,** შემუშავდა ელექტრონული კითხვარი, რომლის მეშვეობითაც მოხდა ექსპორტიორი კომპანიების კატეგორიზაცია და საჭიროებების გამოვლენა. დღეის მდგომარეობით კითხვარი შევსებული აქვს 171 კომპანიას. სააგენტოს მიერ ორგანიზებული ყველა აქტივობა მორგებულია ექსპორტიორი კომპანიების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე.

[4.2.2] **ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორების ანალიზის მიზნით,** შესწავლილი იქნა სავაჭრო პარტნიორი სამიზნე ქვეყნების ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა, გამოიკვეთა ახალი პოზიციები, შესაბამისი საექსპორტო ბაზრები, რომელზეც აქვთ პოტენციალი ამ პროდუქტებს. ასევე, მიმდინარეობს აქტიური მუშობა დამატებით ახალი სექტორებისა და პროდუქტების იდენტიფიცირების მიზნით.

[4.2.3] სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ **ექსპორტის პოტენციალის მქონე ახალი სექტორის იდენტიფიცირების და DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის** კუთხით ახორციელებს კვლევებს. კერძოდ, EPRC-ის მიერ განხორციელდა ბაზრის კვლევა და გამოვლინდა კონკურენტუნარიანი ორი ახალი სექტორი: სათამაშოებისა და ბავშვის ტანსაცმლის სექტორები. სააგენტოსთან თანამშრომლობით, ასევე, შემუშავდა ერთობლივი ელექტრონული კითხვარი, რომელიც ითვალისწინებდა DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით საჭიროებების განსაზღვრას.

[4.2.4] სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის პოტენციალის მქონე ახალი სექტორის იდენტიფიცირების და DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით შეიმუშავა **მხარდაჭერის ინსტრუმენტები (ტექნიკური, ფინანსური).** სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ექსპორტიორი კომპანიების მენეჯერებს ყოველწლიურად ეძლევათ შესაძლებლობა აიმაღლონ ცოდნა და განავითარონ საჭირო უნარ-ჩვევები ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსის მეშვეობით. აღნიშნული პროგრამა მუდმივად იხვეწება და ამჟამად მოიცავს ყველა საბაზისო საკითხის გავლას INCOTERMS-ის და ხარისხის ინფრასტრუქტურის მოდულების ჩათვლით.

სააგენტოს ინიციატივით და USAID-ის პროგრამის „მმართველობა განვითარებისთვის“ (Governing for Growth (G4G) in Georgia) მხარდაჭერით შეიქმნა ანიმირებული ონლაინ კურსი ექსპორტის საბაზისო საკითხებზე. კურსის მიზანია, დისტანციური სწავლების გზით, დაეხმაროს მეწარმეებს, განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრებ პირებს, ექსპორტის მენეჯმენტის პროცესის გააზრებაში, სწორ დაგეგმვასა და განხორციელებაში. კურსი მოიცავს იმ ძირითად საკითხებს, რისი ცოდნაც აუცილებელია როგორც დამწყები, ისე არსებული ექსპორტიორებისთვის. ონლიან კურსი განთავსებულია 4 სხვადასხვა პლატფორმაზე, მათ შორის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.enterprise.gov.ge (ბმული: http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/export-management-fundamentals).

[4.2.5] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის **მიერ მეწარმე-სუბიექტებისათვის** ჩატარდა 35 ტრენინგი, რომლის ფარგლებში სულ დატრენინგდა 831 დაინტერესებული

პირი, ასევე ჩატარდა 65 საველე შეხვედრა და 48 სატელეფონო კონსულტაცია განხორციელდა 528 მეწარმე-სუბიექტისთვის.

4.3. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება

[4.3.1] **პროდუქტების მიხედვით განისაზღვრა 30 პრიორიტეტული საექსპორტო ბაზარი** (15 ევროკავშირის ქვეყანა, 12 აზია-აფრიკის რეგიონი ქვეყანა, თურქეთი, აშშ. კანადა). 2018 წლის შედეგების შესაბამისად განახლებულ იქნა ანალიზი ამ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრის იმპორტზე მოთხოვნებთან დაკავშირებით და შესაბამისად, განახლდა იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთათვისაც ეს ბაზრები მიმზიდველ საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენენ.

[4.3.2] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო **ახორციელებს საერთაშორისო ბაზრების კვლევას ბაზრის მოთხოვნასა და პრიორიტეტულ პროდუქტებზე ამ ბაზრების მოთხოვნების, მათ შორის, ტექნიკური მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით.** დასრულდა სამიზნე ქვეყნების 2018 წლის წლიური სტატისტიკური ანალიზი. ასევე, მომზადებულია სხვა დანარჩენი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საიმპორტო ბაზრის ანალიზი. განისაზღვრა არსებულის განვითარებისა და ახალი პოტენციური საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალი.

[4.3.3] სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ უწყვეტ რეჟიმში უწევს კონსულტაციას (ელექტრონულ, სატელეფონო) ნებისმიერ დაინტერესებულ პირს **საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან დაკავშირებით**.

[4.3.4] **საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის და პოპულარიზაციის მხარდაჭერის მიზნით სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ შეიმუშავა საწარმოთა შერჩევის კრიტერიუმები.** კომპანიების შერჩევის კრიტერიუმების და თანადაფინანსების მექანიზმის შემოღება ითვალისწინებს კომპანიების თანადაფინანსებას მხოლოდ საწარმოს ზომითი კატეგორიის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ დაგეგმილი ნებისმიერი საერთაშორისო ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო ქართული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციისკენ, ხორციელდებოდა კონკურსის წესით, სადაც ასევე გაწერილი იყო შესაბამისი კრიტერიუმები, რომელიც უნდა დაეკმაყოფილებინა საწარმოს, თუმცა თანადაფინანსების თანხა არ განისაზღვრებოდა საწარმოს კატეგორიის მიხედვით.

[4.3.5] **შერჩეულ საწარმოებში მარკეტინგის უნარების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით,** სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის რეგიონალურ პროექტთან აღმოსავლეთის პარტნიორობა: მზაობა ვაჭრობისთვის - EU4Business ინიციატივა და ასევე USAID-ის

სოფლის მეურნეების პროგრამასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ შერჩეულ საწარმოებში მარკეტინგის უნარების საჭიროებების იდენტიფიცირებას.

[4.3.6] სააგენტოს მიერ დაგეგმილი ყოველი საერთაშორისო ღონისძიების ფარგლებში, წინასწარ შედგენილი ელექტრონული კითხვარის საფუძველზე, ხდება **შერჩეულ საწარმოებში პროდუქტების იდენტიფიცირება საერთაშორისო ბაზრებზე პოპულარიზაციის მიზნით.**

[4.3.7] ევროკავშირის რეგიონალური პროექტის აღმოსავლეთის პარტნიორობა: მზაობა ვაჭრობისთვის - EU4Business ინიციატივა და USAID-ის სოფლის მეურნეების პროგრამის დახმარებით, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ შეიმუშავა **საწარმოებისთვის მარკეტინგისა და პოპულარიზაციის შესაბამისი ინსტრუმენტები**, მათ შორის, ბროშურები, პროდუქციის ეტიკეტები და სხვა საპრომოციო მასალები სხვადასხვა ბაზრების სპეციფიკის შესაბამისად. ასევე, სააგენტო ღონისძიებების ჭრილში ახორციელებს ონლაინ პლატფორმებზე სხვადასხვა რელევანტური ინფორმაციების განთავსება/რეკლამირებას.

[4.3.8] სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დონორ ორგანიზაციებთან ერთად, შემუშავებული აქვს შერჩეული საწარმოებისთვის **მარკეტინგისა და პოპულარიზაციის ინსტრუმენტები,** რომელიც მორგებულია კონკრეტული ბაზრისთვის (მაგ: შესაბამისი ეტიკეტის, ბროშურების დამზადება).

[4.3.9] 2019 წელს, ქვეყნის **საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით,** სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზება გაუწია 14 საერთაშორისო გამოფენასა და 3 საერთაშორისო ღონისძიებაში ქართული კომპანიების მონაწილეობას.

- ✓ სააგენტოს მხარდაჭერით, ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი 2 ქართული კომპანია წარმოდგენილი იქნა საგამოფენო ღონისძიებაზე „Play Time Paris”, ხოლო უკვე 2019 წლის ზაფხულში იტალიაში ბავშვის ტანსაცმლის საერთაშორისო გამოფენაში „PITTI IMMAGINE BIMBO” კომპანიების რიცხვი გაიზარდა და 4-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა; 2019 წელს სააგენტომ ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებლები პირველად დააფინანსა;
- ✓ 3 ადგილობრივი ტყავის აქსესუარების მწარმოებელმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენაზე „APLF Leather & Materials“(ჰონგ-კონგი);
- ✓ სააგენტოს ორგანიზებითა და თანადაფინანსებით ქართული კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ გამოფენებზე, კერძოდ, „Gulfood 2019” (დუბაი) 12-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, ხოლო „IFE LONDON 2019” (ქ. ლონდონი) 19 კომპანია ღებულობდა მონაწილოებას;
- ✓ აღსანიშნავია, რომ პირველად მოხდა კორეის ბაზარზე ქართული კომპანიების წარმოდგენა. 6 ადგილობრივი კომპანია იღებდა მონაწილეობას საკვების და სასმელის საერთაშორისო გამოფენაზე „Import Goods Fair” (კორეა);

- ✓ სააგენტომ ხელი შეუწყო ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩვენებას „Paris Fashion Week“-ის თანმდევ ღონისძიებაზე, რომელიც იმართება წლის სხვადასხვა სეზონზე - ჯამში, 32-მა ქართველმა დიზაინერმა/კომპანიამ მიიღო ფინანსური მხარდაჭერა სააგენტოს მხრიდან;
- ✓ ქ. ტოკიოში გამართულ ტანსაცმლის საერთაშორისო გამოფენაში „FASHION WORLD TOKYO 2019” სააგენტოს თანადაფინანსებით მონაწილეობა მიიღო 8 ქართველმა დიზაინერმა, მაისურის მწარმოებელმა 2-მა კომპანიამ და 1-მა ეროვნული სამოსის მწარმოებელმა კომპანიამ;
- ✓ სათამაშოების მიმართულებით ორგანიზება გაეწია 5 ქართული კომპანიის მონაწილეობას სათამაშოების მწარმოებელი კომპანიების საერთაშორისო გამოფენაზე „Spielwarenmesse“ (ქ. ნიურნბერგი). სააგენტომ, ასევე, უზრუნველყო (ორგანიზება/თანადაფინანსება) 4 ადგილობრივი კომპანიის მონაწილეობა PASSAGEN გამოფენაზე ქ. კიოლნში, რომელიც ავეჯის ინდუსტრიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებაა;
- ✓ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ორგანიზებითა და თანადაფინანსებით ქართულმა ექსპორტიორმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს საკვებისა და სასმელი პროდუქტების საერთაშორისო გამოფენაში „ANUGA 2019” ქ. კიოლნში, გერმანია. სივრცე გამოყოფილი იყო ორ პავილიონში Anuga Fine Food - საკვების მწარმოებელი კომპანიებისთვის და Anuga Drinks - სასმელების მწარმოებელი კომპანიებისთვის. ჯამში, მონაწილეობა მიიღო 18-მა ქართულმა კომპანიამ;
- ✓ ქართულმა კომპანიებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ინგრედიენტების ყველაზე დიდ გამოფენაში (B2B). 8 ქართული კომპანია მონაწილეობდა აღნიშნულ გამოფენაში;
- ✓ 2019 წელს, რიგით მეორე ჩინეთის საერთაშორისო იმპორტის გამოფენაში „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ორგანიზებით და თანადაფინანსებით მონაწილეობა მიიღო 33-მა კომპანიამ. აქედან 13 კომპანია წარმოადგენდა ღვინის, 4 - ხილისა და ბოსტნეულის ნატურალური წვენების, 2 - თხილის, 2 - ლუდისა და ლიმონათის, 1 -ჩაის, 1 - მტკნარი და მინერალური წყლების, 1 - ვისკის, 1 - ბრენდის, 1 - ჩირისა და სუნელების, 1 - მოცვისა და ხილის არაყის, 1 - მცენარეული ნაყენის/ნატურალური წვენის, 1 - პროსეკოს ტიპის ალკოჰოლური სასმელისა და ერთიც - ყავის მწარმოებელ კომპანიას. რამდენიმე კომპანიას არაძირითადი პროდუქტის/ხაზის სახით, ასევე, ჰქონდა წარმოდგენილი კომპოტი და ჯემი. საქართველოს სტენდზე საკვები და სასმელი პროდუქტების პავილიონში ჯამურად 20-მდე სხვადასხვა სახის პროდუქტი იყო წარმოდგენილი. მეორე პავილიონში მონაწილეობა მიიღეს საფეიქრო და მონათესავე ინდუსტრიების წარმომადგენლებმა. კერძოდ, საქართველოდან 3 კომპანია იყო წარმოდგენილი,

რომლებიც აწარმოებენ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სხვადასხვა ტიპის აქსესუარს.

4.4. მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში

[4.4.1] მეწარმეობის მხარდაჭერის ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ **განხორციელდა მეწარმეთა შესაძლებლობების ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით**. კერძოდ, გაფორმდა 2 მემორანდუმი - Start up Grind (SG), (Startup Armenia Educational and Scientific Foundation – SAF).

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელშეწყობით მეწარმე-სუბიექტებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა **საერთაშორისო ღონისძიებაში და ასევე, „მოიძიე პარტნიორის“ სერვისის ფარგლებში.** აღნიშნულ პერიოდში დამყარდა 50 ასეთი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობა.

[4.4.2] ევროპის მეწარმეთა ქსელი - Enterprise Europe Network (EEN) წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც ემსახურება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კონკრეტული ბიზნეს შემოთავაზებების ურთიერთგაცვლასა და კავშირების დამყარებას. EEN ქართული კომპანიებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები და მოიზიდონ შესაბამისი პარტნიორები. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მიმდინარეობს მუშაობა **მეწარმეთა, მათ შორის ინოვაციურ მეწარმეთა, ეფექტური მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით 2 სტარტაპის EEN-ის პლატფორმაზე** დასარეგისტრირებლად. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დახმარებით პლატფორმაზე გამოქვეყნებულია 6 ქართული კომპანიის პროფილი, 3 დაარქივებულია და დამატებით რამდენიმე რეგისტრაციასთან დაკავშირებით პასუხის მოლოდინის რეჟიმშია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის მიზნით, ხელს უწყობს ქართველ მეწარმეებს მოიძიონ პარტნიორი საზღვარგარეთ და ასევე, EEN ევროპის მეწარმეთა ქსელში ქართველ მეწარმეთა შეთავაზებების განთავსებაში. საყურადღებოა, რომ EEN-ის ქსელის ოპერირების გაუმჯობესების მიზნით პალატა ახორციელებს აქტიურ მუშაობას EEN-ის ცენტრალურ ოფისთან.

[4.4.3] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს **ბიზნეს ფორუმების ჩატარებას საქართველოსა და საზღვარგარეთ.**

18 აპრილს, პალატის ორგანიზებით, საქართველო-კვიპროსის ბიზნეს ფორუმი გაიმართა. ბიზნეს ფორუმში ორივე ქვეყნის 120-ზე მეტმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. ორმხრივი ბიზნეს-ინტერესების სფეროები იყო: საერთაშორისო ინვესტიციები, IT მომსახურება და ვებ-დიზაინი, რბილი ავეჯი და სახლის აქსესუარები, აგრობიზნესი,

უძრავი ქონება და ქონების მართვა, ტურიზმი, იურიდიული და საგადასახადო კონსულტაციები, საერთაშორისო გადაზიდვები და სხვა.

3 მაისს, პალატის თანაორგანიზებით, ქალაქ ქუთაისში, პირველი საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმი - „ოქროს საწმისის ძიებაში“ - გაიხსნა. ღონისძიება ორ დღეს გაგრძელდა და მისი მიზანი, ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა და საერთაშორისო ასპარეზზე მისი პოზიციონირებაა.

13 მაისს, პალატის თანაორგანიზებით, საქართველო-ავსტრიის ბიზნეს ფორუმი გაიმართა. ფორუმის ფარგლებში, ავსტრიულ მხარეს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ. ბიზნეს-ფორუმს 13 ავსტრიული და 70-მდე ქართული კომპანია ესწრებოდა, გაიმართა ორმხრივი შეხვედრებიც.

16 მაისს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველო-ლიბანის სავაჭრო პალატის ორგანიზებით, ბიზნეს ფორუმი გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს, 40-მდე ლიბანური კომპანია ეწვია. ბიზნეს-ფორუმის სახელწოდებაა „საქართველო-ლიბანის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები: დინამიური გამოწვევა უკეთესი მომავლისთვის“ და მისი მიზანი ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაა.

30 მაისს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანაორგანიზებით, და სააგენტოს “აწარმოე საქართველოში“, კახეთის გუბერნიისა და კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს ოფისის (DMO) მხარდაჭერით, კახეთში, საერთაშორისო რეგიონული საინვესტიციო ფორუმი - „მეტი ინვესტიცია საქართველოს რეგიონებს“ ჩატარდა. ღონისძიებას დაესწრო 20-ზე მეტი უცხოური და 150-მდე ქართული კომპანიის წარმომადგენელი და მათ საშუალება ჰქონდათ განეხილათ თანამშრომლობის პერსპექტივები.

14 ივნისს, სლოვაკეთში, ქალაქ ბრატისლავაში, საქართველო-სლოვაკეთის რეგიონალური ბიზნეს ფორუმი “Doing Business in Georgia” გაიმართა. ღონისძიება გაიმართა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოსა და საქართველოს საელჩოს პარტნიორობით. ბიზნეს ფორუმის ფარგლებში განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოტენციალი და პერსპექტივები. ბიზნეს ფორუმში მონაწილეობა მიიღო 80-ზე მეტი სლოვაკური, ავსტრიული, პოლონური, ჩეხური და ქართული კომპანიის წარმომადგენელმა.

3 ივლისს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, თბილისში საქართველო - სერბეთის ბიზნეს-ფორუმი გაიმართა. ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში საქართველოს ეწვია 5 უმსხვილესი კომპანია სერბეთიდან, რომლის მიზანია საქართველოში ბიზნეს-პარტნიორის მოძიება.

5 ივლისს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ თანაორგანიზებით იტალიურ-ქართული ბიზნეს-ფორუმი გაიმართა,

რომელიც ინფრასტრუქტურის, ჭკვიანი ქალაქების და ენერგეტიკის საკითხებს მიეძღვნა. ქართული მხრიდან მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა საწარმომ, სააგენტომ, საჯარო თუ კერძო კომპანიამ.

[4.4.4] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს **მეწარმეთა ინფორმირებას და ხელშეწყობას საზღვარგარეთ დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიზნით**. მცირე საგრანტო კონკურსის ფარგლებში სამგზავრო გრანტის ხელშეწყობით 49 ბენეფიციარი დაესწრო 28 სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებას, მათ შორის: startup Grind Global Conference, Techstars Berlin Accelertor Mentorship, Wolvessummit, Seedsars World Summit, Global Meetup 2019 - Berlin, Creative Business Cup 2019.

[4.4.5] სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ხელს უწყობს **სტარტაპ-კომპანიების განვითარებას და მათ მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებებში.** 2018-2019 წლებში, სათამაშოების მწარმოებელ სტარტაპ კომპანიებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა ევროპაში ყველაზე პრესტიჟულ და მასშტაბურ გამოფენაზე Spielwarenmesse. 2019 წელს ბავშვთა ტანსაცმლის სექტორის სტარტაპ-კომპანიებმა მიიღეს მონაწილეობა საფრანგეთში, ქ. პარიზში გამართულ გამოფენაზე - Playtime და იტალიაში, ქ. ფლორენციაში გამართულ გამოფენაზე - Pitty Imagine Bimbo.

[4.4.6] სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ განხორციელდა **კომერციულად მიმზიდველი სამეწარმეო სექტორების**, სათანადო ცვლილებები შევიდა საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებაში. ცვლილების თანახმად განისაზღვრა იმ ბიზნეს სექტორების წახალისება, რომელთა განვითარება ქვეყნისთვის პრიორიტეტულია. კერძოდ, დაემატა თევზჭერის, ტურისტული სერვისების, ბალნეოლოგიური კურორტების განვითარება და სხვა მიმართულებები.

[4.4.7] სააგენტომ დაიწყო მუშაობა **იდენტიფიცირებული სექტორების განვითარებაზე ორიენტირებული კვლევის მომზადების** თაობაზე.

4.5. ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (Responsible Business Conduct RBC) პოპულარიზაცია

[4.5.1] **ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) სამეწარმეო სექტორში პოპულარიზაციის მიზნით**, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოსა და Global Compact-ს შორის გაფორმებული ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს **სამეწარმეო სექტორში RBC-ს პოპულარიზაციას.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით დააფუძნებული კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის საუკეთესო ინიციატივების ყოველწლიურ კონკურსის - საქართველოს

პასუხისმგებლიანი ბიზნესის კონკურსი **Meliora**-ს (რაც ლათინურად „საუკეთესოს“ ნიშნავს) დაჯილდოვების ცერემონიაში. 2019 წელს, კონკურსში მონაწილეობა მიიღო 38 კომპანიამ 71 განხორციელებული პროექტით. კონკურსში წარდგენილი პროექტები, წამყვანმა უცხოელმა და ქართველმა ექსპერტებმა შეაფასეს და მათ შორის, ყველაზე პასუხისმგებლიანი და სამაგალითო პროექტები გამოავლინეს. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი შედგა 2019 წლის 12 დეკემბერს.

[4.5.2] **გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის შეხვედრებში და ტრენინგებში** მონაწილეობა მიიღო სსიპ ,,აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს სახელმწიფო პროგრამის 55 ბენეფიციარი კომპანიის წარმომადგენლმა.

4.6. უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა (FDI-SMEs linkages)

[4.6.1] სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების მიზნით, **პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებსა და მულტინაციონალური ბრენდის სასტუმროებზე, მათ მიერ საქონლის/მომსახურების მოთხოვნასთან** დაკავშირებით, ჩატარდა კვლევა FDI-SME Linkages-ის პროექტის პირველ ფაზაში. კვლევაში გამოკვეთილი მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე კი შეირჩა საპილოტე ფაზის ინდუსტრია და ქართული და უცხოური კომპანიები, რომლებიც ჩაერთვნენ დაკავშირების პროექტში. განხორციელდა ახალი საპილოტე ინდუსტრიის შერჩევასთან დაკავშირებული აქტივობები.

[4.6.2] FDI-SME Linkages-ის პროექტთან დაკავშირებული კვლევის საფუძველზე მოხდა იმ **მცირე და საშუალო კომპანიების იდენტიფიცირება**, **რომლებსაც აქვთ პოტენციალი გახდენენ საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლები უცხოელ პარტნიორ ორგანიზაციებთან**. 14 ადგილობრივ კომპანიას ჩაუტარდა ტრენინგ-პროგრამები. ასევე, 25 საერთაშორისო ბრენდის კომპანიას გაეწია კონსულტაცია და მოხდა მათი ინფორმირება ადგილობრივი მცირე და საშუალო კომპანიების მომსახურებისა და საქონლის მიწოდების პოტენციალზე.

უცხოელ ინვესტორთა და მცირე და საშუალო საწარმოთა (SME-MNC) ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები. ამასთან, „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ განხორციელდა მცირე და საშუალო მეწარმეთა მხარდაჭერა მათი საერთაშორისო გამოფენებსა და ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობის მიმართულებით, რომლის დროსაც შედგა კომუნიკაცია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა წარმომადგენლებსა და უცხოელ ინვესტორებს შორის პარტნიორების მოძიების და ბიზნეს ურთიერთობების დამყარების მიზნით. მათ შორის, მნიშვნელოვანია „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ორგანიზებით გამართული ბიზნეს ფორუმები: კახეთის საინვესტიციო რეგიონული

ფორუმი (30.05.2019წ.), იტალია-საქართველოს ბიზნეს ფორუმი (4.07.2019წ.) და იაპონია-საქართველოს ბიზნეს ფორუმი (25.11.2019წ.), რომლის ფარგლებშიც მოხდა სხვადასხვა ქართული და უცხოური კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირება.

[4.6.3] პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოთა/პოტენციურ უცხოელ ინვესტორთა და მცირე და საშუალო საწარმოთა ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობა

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის მიზნით დაიწყო მნიშვნელოვანი სერვისების განხორციელება. კერძოდ, სერვისი მოიძიე პარტნიორი, რომელიც ხელს უწყობს ქართველ მეწარმეებს მოიძიონ პარტნიორი საზღვარგარეთ. ხოლო, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საანგარიშო პერიოდში მემორანდუმი გაფორმდა ბიზნეს-ომბუდსმენსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის, რომლის მიზანია მხარეებს შორის თანამშრობლობის გაღრმავება და პალატის წარმომადგენლების დახმარებით რეგიონებში მოქმედ ბიზნეს-სუბიექტებსა და ბიზნეს-ომბუდსმენს შორის აქტიური კომუნიკაციის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, მომზადდა ორი მემორანდუმის პროექტი - სავაჭრო-სამრეწველო პალატის და სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსთან და სსიპ - აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრთან თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმის საფუძველზე პალატა კიდევ უფრო აქტიურად და ინტენსიურად მიაწვდის ინფორმაციას ქართველ მეწარმეებს ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ, 2019 წლის განმავლობაში, გააფორმა 17 მემორანდუმი, რომელიც მოიაზრებს ინვესტიციების მხარდაჭერასაც.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

მეოთხე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და ჯამში, 33 ქმედებას. 2019 წელს განხორციელდა 6-ვე პრიორიტეტული ღონისძიება და 33-ვე ქმედება.

- ✓ განხორციელდა EPRC-თან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისი აქტივობები;
- ✓ ბენეფიციარებს გაეწიათ კონსულტაცია DCFTA-სთან დაკავშირებით;
- ✓ DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მეწარმეებთან ჩატარდა სემინარები და შეხვედრები;
- ✓ ევროკავშირის პროექტის (CIB) ფარგლებში განახლებულ ლაბორატორიებში ჩატარდა ტრენინგები;

- ✓ გაზომვების ახალი მიმართულებით შეთავაზებული იქნა სერვისები;
- ✓ ფუნქციონირებადია ვებგვერდი და DCFTA-ის შესახებ გაზრდილია მეწარმეთა ცნობიერება;
- ✓ DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციის კუთხით განხორციელდა ღონისძიებები;
- ✓ ბენეფიციარებს გაეწიათ მხარდაჭერა მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირების მიზნით;
- ✓ ორგანიზაბულ იქნა EEN-ში მეწარმეთა მონაწილეობის მიზნით საინფორმაციო შემეცნებითი შეხვედრები;
- ✓ EEN-ის პლატფორმაზე დარეგისტრირდა სტარტაპი და ინოვაციური პროფილები;
- ✓ გამოვლინდა კომერციულად მიმზიდველი სამეწარმეო სექტორები;
- ✓ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოების მიერ მოხდა კომუნიკაცია საქონლის და მომსახურების საქართველოდან მიწოდებასთან დაკავშირებით;
- ✓ ჩატარდა ბიზნეს ფორუმებზე ორმხრივი შეხვედრები.

მეოთხე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად

ექსპორტის ხელშეწყობა

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, საქართველოს ექსპორტი ზრდის დადებითი ტენდენციით ხასიათდება. 2018 წელს, საქართველოს მთლიანი ექსპორტი რეკორდულ მაჩვენებელს გაუტოლდა და 3,355.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის მოცულობამ 1,667.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 10%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტმა 1,515.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16,1%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. 2017 და 2018 წლებში, მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში, შესაბამისად, 55.4% და 49.7%-ს გაუტოლდა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის კვლავ დადებითი ზრდა დაფიქსირდა. 2017 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტმა 655,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 15.9%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს, ხოლო 2018 წელს, ექსპორტის რეკორდული მოცულობა დაფიქსირდა და 730.7 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11,5%-ით აღემატება. თავის მხრივ, 2017 და 2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის წილმა მთლიანი ექსპორტის შესაბამისად, 24.0% და 22% შეადგინა.

აღსანიშნავია, ასევე, OECD-ის ქვეყნებში ექსპორტის ზრდის დადებითი ტენდენციები. 2016 წელს ექსპორტის მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2017 წელს ზრდის ტემპმა 6.9% და 794 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 29%-ს უტოლდება. 2018 წელს ექსპორტი 15.7%-ით გაიზარდა და 918 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მთლიან ექსპორტში 27,4%-ს შეადგენდა.

მეხუთე სტრატეგიული მიმართულება: ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

ქვეყანაში ინოვაციური განვითარების ხელშეწყობის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, დამწყებ და მოქმედ საწარმოებს გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით. წვდომა ტექნოლოგიებზე ნიშნავს პროგრესს, რაც ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

5.1. მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება

[5.1.1] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით **ქართულმა სტარტაპებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში სტარტაპების ხელშემწყობ ღონისძიებებში** (გამოფენები, კონფერენციები, სემინარები). კერძოდ, მცირე საგრანტო კონკურსის ფარგლებში სამგზავრო გრანტის ხელშეწყობით 49 ბენეფიციარი დაესწრო 28 სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებას, მათ შორის: startup Grind Global Conference; Techstars Berlin Accelertor Mentorship, Wolvessummit, Seedsars World Summit, Global Meetup 2019 - Berlin, Creative Business Cup 2019. თანადაფინანსების გრანტების პროექტის პარალელურად, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN women) თანამშრომლობით, შემუშავდა პროგრამა და 8 სტარტაპი გაემგზავრება ევროპაში სასწავლო ვიზიტზე.

[5.1.2] ტექნოპარკის ბაზაზე, **ინოვაციების და ტექნოლოგიების პოპულარიზაციისთვის,** ჩატარდა 62 ღონისძიება ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებითა და თანაორგანიზებით, რომელსაც დაახლოებით 3000 ადამიანი დაესწრო.

5.2. ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება

[5.2.1] **ინოვაციური და ტექნოლოგიური საგრანტო პროგრამების** ფარგლებში ორი გამოცხადებული 100 000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტის ფარგლებში დაფინანსდა 56 და 4 ბენეფიციარი - 650 000 ლარით. დამატებით გამოცხადდა 100 000 და 650 000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტები. მცირე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა სულ 69 პროექტი, მათ შორის, პროტოტიპის - 15 პროექტი, სამგზავრო - 49 პროექტი და ღონისძიების - 5 პროექტი.

5.3. ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა

[5.3.1] ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტის ფარგლებში ხორციელდება სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაცია, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. აღნიშნული გულისხმობს კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობით კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეების შერჩევას. **ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტის ინიცირების (TTPP)** ფარგლებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ შეიქმნა პროექტის სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა განხორციელების გზები. პროექტის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის გავრცელება სამიზნე ჯგუფებთან. კერძოდ, ჩატარდა საჯარო შეხვედრები, ასევე ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან.

გამოცხადდა პროექტების მიღება სპეციალური ფორმის საშუალებით (Snapshot), რითაც დაინტერესებულ მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ გამოეხატათ თავისი ინტერესი პროექტისადმი. მნიშვნელოვანი იყო, რომ ტექნოლოგიების მზაობის დონე უნდა ყოფილიყო 4 და შემდგომი (TRL4). სააგენტოში სულ შევიდა 70-მდე პროექტი და ყველა პროექტზე შედგა შეხვედრა, რომელიც აკმაყოფილებდა მთავარ კრიტერიუმს (ტექნოლოგიის მზაობის დონე 4 და შემდგომი). სულ ინტერვიუ ჩატარდა 60 პროექტზე.

შეიქმნა პროექტის მართვის სისტემა Microsoft Sharepoint-ის გამოყენებით. პროექტის ფარგლებში შემუშავდა პროექტისთვის საჭირო ფორმები და ხელშეკრულებები, რომლებიც ასევე ითარგმნა ქართულ ენაზე. პროექტები, რომლებმაც გადალახეს ინტერვიუს ეტაპი, გადავიდნენ ტექნოლოგიის დეტალური შესწავლის ეტაპზე (Due Diligence).

ამასთან, სააგენტომ ექსპერტები მიავლინა, რათა ინდივიდუალურად დახმარებოდნენ მეცნიერებს ტექნოლოგიის დეტალური შესწავლის ეტაპზე შესაბამისი ფორმებისა და ინფორმაციის შევსებასა და მოწოდებაში. განხორციელდა შერჩეული ტექნოლოგიების დეტალური შესწავლა.

5.4. მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება

[5.4.1] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს რეგიონებში მეწარმეებისთვის სასწავლო კურსს ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 832-მა მეწარმემ გაიარა ტრენინგი ციფრულ წიგნიერებაში (BFD კომპონენტი).

5.5. ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (ტექნოპარკები, ინოვაციების ცენტრები, FabLab-ები; iLab-ები)

[5.5.1] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ინოვაციებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას. კერძოდ, თბილისსა და **რეგიონებში შექმნილი ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები** ორიენტირებულია განავითაროს ქვეყანაში ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკოსისტემა. თბილისში, ზუგდიდსა და თელავში შექმნილი ტექნოპარკებში აკუმულირებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსებით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას. აღნიშნული ტექნოპარკები აერთიანებს ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ასევე საოფისე, საერთო-სამუშაო და რეკრეაციულ სივრცეებს. პარკი უზრუნველყოფს წვდომას ტრენინგ-ცენტრებსა და შოურუმებზე. 2019 წლისთვის, წარმატებით ფუნქციონირებს ინოვაციების რეგიონალური ცენტრები ხარაგაულში, ჭოპორტში, ბაღდათში, ახმეტასა და რუხში, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს მინი ტექნოპარკებს და შედარებით მცირე მასშტაბით მომხმარებელს ლოკალურად სთავაზობს იმავე სერვისებს, რასაც ტექნოპარკები. 2019 წელს დასრულდა ბათუმის ინოვაციების ჰაბის მშენებლობა და აღიჭურვა ოპერირებისთვის საჭირო ინვენტარით.

ინოვაციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია და ფუნქციონირებს ფაბლაბები, იგივე ფაბრიკაციის ლაბორატორია, რომელიც მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სახელოსნოა და მომხმარებელს სთავაზობს ციფრულ ფაბრიკაციას. ფაბლაბის შემადგენლობაში არსებული დანადგარების - 3D პრინტერების, CNC რუტერების, ლაზერული მჭრელების, PCB დანადგარების მეშვეობით იქმნება როგორც მარტივი, ასევე კომპლექსური და „ჭკვიანი“ ნივთები. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტში შექმნილ ფაბლაბში ხორციელდება პროტოტიპირება, ტესტირება და მცირე წარმოებაც კი.

სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში ინოვაციების ლაბორატორიების ქსელის განვითარება. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით ფუნქციონირებს ინოვაციების ლაბორატორიები სამ ლოკაციაზე - ჯეოლაბი, გეიმლებ ილიაუნი და სიჯი მულტილებ ჯიპა. ინოვაციების ლაბორატორიები ხელს უწყობს სპეციალისტების მომზადებას, ქმნის კომფორტულ გარემოს ნოვატორული იდეების გენერირებისთვის, პროექტული მართვის უნარების განვითარებისთვის და ინოვაციებზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სტარტაპების შექმნისთვის. 3 უნივერსიტეტის ბაზაზე ერთობლივად, კერძო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად შექმნილი ინოვაციების ლაბორატორიები ახალისებენ გამოყენებითი სწავლების პროცესს, სთავაზობენ დაინტერესებულ პირებს კურიკულუმებს მობილური პლატფორმების პროგრამირების უნარების გაძლიერებისთვის, კომპიუტერული თამაშების განვითარებისთვის, კომპიუტერული გრაფიკისა და ვიზუალური ეფექტების მიმართულებით ცოდნისა და უნარების

გამდიდრებისთვის. ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. ლაბორატორიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან ერთად ჰაკათონების, მეიქათონების და ოლიმპიადების ორგანიზებასა და სტარტაპების შექმნის პროცესში. ინოვაციების ლაბორატორიები წარმოადგენენ 24 საათიან სამუშაო სივრცეს დამწყები კომპანიებისთვის და ხელს უწყობს დამატებითი ინვესტიციის მოზიდვას სტარტაპ ეკოსისტემის მიმართულებით.

[5.5.2] ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია **რეგიონების დაფარვა მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური ინფრასტრუქტურით.** მსოფლიო ბანკის დახმარებით მიმდინარეობს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განახლებაზე მუშაობა. პროგრამის განახლების და შემდგომში მისი განხორციელების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უშუალოდ მინისტრი ხელმძღვანელობს. მის შემადგენლობაში შედიან მინისტრის მოადგილე, სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის, „ოუფენ-ნეტის“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიერ მიმდინარეობს „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №375 დადგენილების“ განახლება.

პროგრამის განხორციელებისთვის შეირჩა ევროკავშირის შესაბამისი სახელმძღვანელოს I მოდელი (ე.წ. ლიეტუვას რეინის მოდელი), კერძოდ, ერთიანი ქსელის განვითარება ე.წ “თეთრ ზონებში“ - სადაც არ არის ქსელი და კერძო კომპანიები არ გეგმავენ ქსელის აშენებას მომდევნო 3 წლის განმავლობაში. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს შორის არსებული ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა, სფეროში კონკურენციის ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა და ციფრული ეკონომიკის და საინფორმაციო საზოგადოების შემდგომი განვითარება.

5.6. მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარების ხელშეწყობა

[5.6.1] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მცირე და **საშუალო ტელეკომ ოპერატორების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით** გაიმართა სამუშაო შეხვედრები მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების, სამაუწყებლო კომპანიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან “ელექტრონული კომერციის“, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონების პროექტებთან დაკავშირებით. შედეგად, მომზადდა შეჯერებული პოზიციები.

[5.6.2] ევროკომისიამ, მსოფლიო ბანკის საშუალებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საექსპერტო ტექნიკური დახმარება გაუწია **„საქართველოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული**

სტრატეგიის და მისი განხორციელების გეგმის“ შემუშავებაში, რომელიც საქართველოში ციფრული უთანასწორობის დაძლევის მიზნით ორიენტირებულია კონკურენციის განვითარებაზე, ინვესტიციების მოზიდვასა და მოსახლეობაში ციფრული უნარების განვითარებაზე. სტრატეგიის იმპლემენტაციით მოხდება, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფართოზოლოვანი ინტერნეტ ქსელის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა. შესაბამისად, მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო კომპანიებს კიდევ უფრო მეტად მიეცემათ მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან კონკურენტულ ბაზარზე შესვლის და განვითარების შესაძლებლობა.

5.7. ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის რეგიონების სათემო ინტერნეტ ქსელის პროექტის განხორციელება

[5.7.1] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან - ა(ა)იპ „მთის სათემო ქსელთან“, საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციასთან თანამშრომლობით ხორციელდება **ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის რეგიონების სათემო ინტერნეტ ქსელის მშენებლობა**.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ, აგრეთვე, ISOC-ის ევროპის ოფისი, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ჩეხეთის საელჩო საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტი, კომპანია „ვეონი საქართველო“, შ.პ.ს „ინტელკომ ჯგუფი“, შ.პ.ს „დიგიტალ ტექნოლოგი“, შ.პ.ს „სქაიტელ“ და შ.პ.ს „ენბი ნეტი“.

ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში მაღაროსკარისა და უკანა ფშავის ხეობების, ასევე ბარისახოს და ე.წ. გორშეღმის ხეობებში (გუდანისა და როშკის მიმართულებების გარდა) აბონენტების ჩართვა დასრულდა. მიმდინარე ეტაპზე, უკანა ფშავის დასახლებები, სოფლები თხილიანა, შუაფხო, მუქო, ხოშარა, მათურა, ვაკის სოფელი, ახადი, ჭიჩო, უძილაურთა ჩალათხევი, ელიაგზა დაფარულია ინტერნეტით. განხორციელდა 120 აბონენტის სატესტო რეჟიმში ჩართვა.

ასევე დასრულდა ფასანაური-წინამხარი-კიტოხის მაგისტრალი გუდამაყრის ხეობაში. გუდამაყრის ხეობის სოფლების უმეტესობა მზადაა ჩასართავად. აღნიშნული პროექტის ფარგლებში უახლოეს მომავალში დაიფარება სოფლები გოგოლაურთა, ზარისჭალა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შატლისი და მიღმახევის (მუცო-არდოტის მიმართულება) ხეობების დაფარვის სამუშაოები. დაიწყო და გაგრძელდება ჩარგლის ანძის ინსტალაციის სამუშაოები ჩარგლურას ხეობის, ასევე კაწალხევის მიმართულებების დასაფარად.

მაგისტრალურ დონეზე შეერთებები განხორციელდა შემდეგი სიმძლავრეებით: ჟინვალი-გუდრუხის მაგისტრალი 1.1 გბ/წმ, გუდრუხი-მოწამოს მაგისტრალი 1გბ/წმ, გუდრუხი

კუდოს მთის მაგისტრალი - 0.6 გბ/წმ, მოწმაო-წელთგზა - 0.5 გბ/წმ, წელთგზა-დათვიჯვარი - 0.5 გბ/წმ, დათვიჯვარი-შატილი - 0.4 გბ/წმ, მოწმაო-ვაკისსოფელი - 0.4 გბ/წმ.

პროექტის დასრულების შემდეგ, ფართოზოლოვანი ინტერნეტით, ჯამში იქნება დაფარული 76 სოფელი - 496 ოჯახი, 1291 მუდმივი მაცხოვრებელი.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

მეხუთე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 5 პრიორიტეტულ ღონისძიებას და ჯამში, 10 ქმედებას. 2019 წელს, განხორციელდა 5-ვე პრიორიტეტული ღონისძიება და 10-ვე ქმედება.

- ✓ *ჩატარდა ტრენინგები სტარტაპებისთვის;*
- ✓ *ინოვაციების და მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები;*
- ✓ *განხორციელდა „თანადაფინანსების გრანტის პროგრამა“ და „მცირე საგრანტო პროგრამა“;*
- ✓ *განხორციელდა ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტები (TTPP);*
- ✓ *რეგიონებში მეწარმეებისთვის განხორციელდა სასწავლო კურსი ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით;*
- ✓ *შექმნილია ბათუმის ინოვაციების ჰაბი;*
- ✓ *განხორციელდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა;*
- ✓ *განხორციელებულია მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების და სამაუწყებლო კომპანიების იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი ღონისძიებები;*
- ✓ *შემუშავდა და დამტკიცდა "საქართველოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების გეგმა";*

მეხუთე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად

ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. შედეგად, საწარმოთა

კონკურენტუნარიანობის ამაღლება ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, რომელიც აფასებს ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციაში ინოვაციების წილს, ინოვაციური საქონლისა და მომსახურების ბაზარზე შემოტანას და სხვ., საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ინოვაციური განვითარება ზრდის დადებითი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2018 წელს, ბაზარზე შემოტანილ ინოვაციებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა წილმა 19.7% შეადგინა. 2016 და 2017 წლებში, აღნიშნული მაჩვენებელი, შესაბამისად, 16.5% და 17.1%-ს უტოლდებოდა.

2018 წელს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მიერ ელექტრონული ანგარიშფაქტურების გამოყენების მაჩვენებელი 35.8%-ს გაუტოლდა. აღნიშნული 2015 წელს, მხოლოდ 31.8%-ს შეადგენდა, ხოლო 2016 და 2017 წლებში კი 33.3%-ს და 34.5%-ს უტოლდებოდა.

მზარდი დინამიკაა ელექტრონული შესყიდვების თვალსაზრისითაც. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები სულ უფრო აქტიურად მიმართავენ ელექტრონულ შესყიდვებს. აღნიშნული მაჩვენებელი, 2018 წელს 38.3%-ს გაუტოლდა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 25 პროცენტული პუნქტით აღემატება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში რეკორდულად გაიზარდა ელექტრონული გაყიდვების მაჩვენებელი. კერძოდ, 2015 წელს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა წილი მთლიან ელექტრონულ გაყიდვებში მხოლოდ 10.8%-ს შეადგენდა, 2018 წლისთვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 29.9%-ს გაუტოლდა.

სამოქმედო გეგმით 2019 წლისთვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების, ასევე, სამოქმედო გეგმით კონკრეტულ აქტივობათა განმახორციელებელ უწყებათა მუშაობის შედეგად, შესაბამისი აქტივობების შესრულებას **2019 წლის მდგომარეობით.**

ანგარიში შემუშავებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

„საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის“ პრიორიტეტული მიმართულებების შესრულების ინდიკატორები 2019 წელს 100%-ით შესრულდა.